შაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 26 (8) წელიწადი მესამე ფასი 15 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ მკათათვიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით 5 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 188 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 188

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

რიგის რაიონიდან დახეული რუსის ჯარი ვენდენსონთან მივიდა.

გერმანელებმა დასავლეთ ფლანდრიის მცხოვრებნი აჰყარეს.

კონტრ-რევოლუციურ შეთქმულების მონაწილეთ მემარჯვენე პარტიებთან კავშირი ჰქონიათ.

მოსკოვში ქალაქთა კავშირის ყრილობას იწვევენ.

ღვინობისთვის პირველ ღამიდან დრო ისევ ძველებურად გაიზომება.

ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში ცალკე დროებითი მთავრობა შესდგა.

საფრანგეთში რიბოს სამინისტრო გადადგა.

შვეიცარიის სოციალისტები აცხადებენ: ლენინი აქ არ არისო.

წერილები

გ. ვ. კავკასიის ადმინისტრატიული გადამიჯვნა.

რ. ინგილო. რუსეთის ვითარება.

ქართული პრესა: თბილისის ბოლშევიკები და „საქართველო“.

კ. მაჭავარიანი. დავიწყებულ კუთხეებიდან (დასასრული).

კორესპონდენცია: აჭარიდან, სიღნაღის მაზრიდან.

გულ დამწვარი დედა ეკატერინე ალექსის ასული, ძმები იაგორ და მიხეილ ივანეს ძე ქიმერიძეები, და დარია და სიძე ზაქარია იოსების ძე აბრამაშვილი შვილებით, ბიძა გაბრიელ ალექსის ძე ციციშვილი შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 27 აგვისტოს გარდაცვალების 6 თვის თავზე პირველის დაუვიწყარ შვილის, მეორეთა ძმის, მესამის ცოლის ძმისა და უკანასკნელის—დისწულის: ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტის

ილია ივანეს ძე ქიმერიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება დიდუბის ეკლესიაში 11 საათზე წირვა, მხოლოდ წირვის შემდეგ პანაშვიდი მიცვალებულის საფლავზედ იმავე ეკლესიის გალავანში. 2—764—1

ალექსანდრე, ვლადიმერ და ილია გიჟიმყრელები, ბაბალე წინამძღვრიშვილისა და ნინო ავალიშვილისა წუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელის მამის

კონსტანტინე იოსების ძის

გიჟიმყრელის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა შაბათს, 26 მარიამობისთვეს სოფ. ახაშენში, სიღნაღის მაზრა, სამების ეკლესიაში. 1—761—1

სწავლა-განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

8-კლასიანი (ვაჟთა და ქალთა)

პუშკინის გიმნაზია

(სრულ უფლებიანი)

თხოვნები მიიღება 1-ლი თბილისის მოსამზადებელ კურსების კანცელარიაში პუშკინის ქ. № 4. 10—1 საათამდე და 5—7-დე.
8--735--8

გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა, ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, დღეიდან გაზეთის

თითო ნომერი ეღირება 15 კაპ.

ხელის მომწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

ამიერ-კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო

კომიტეტი

იწვევს მცოდნე პირს საორგანიზაციოდ და ბუღალტერიის იტალიურ ორმაგ სისტემაზე საწარმოვოდ.

საჭიროა: გამოცდილება მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო წარმოების და დასაცავად მშრომელ სახოგადო ორგანიზაციათა წიგნების რუსულ ენაზე წარმოებაში, კასის წესების ცოდნა, ანგარიშების შედგენა სახელმწიფო კონტროლისა და სამხედრო უწყების მოთხოვნილებათა თანახმად.

პირობები: Curriculum Yitac და დოკუმენტები ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ბიუროს უნდა გამოეგზავნოს ამ წლის ენკენისთვის პირველამდე. თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 2. 1—743—1

მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს

ოთხ-კლას. სასწავლებელში

გამოცდები სასწავლებელში მოწაფეებისთვის და აგრეთვე ახლად მისაღები მოწაფეებისთვის იწყობა 28 ენკენისთვეში და სწავლის დასაწყისი იქნება 3-ს ოქტომბერს. 1—763—1

კვირას, 27 აგვისტოს, დილის 10 ს. (ახალ დროზე)

სახალხო სახლში

დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება

„აღორძინებას“

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წეს რიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები. დაბეჭდილი ანგარიშები წევრებს შეუძლიანთ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში. რადგანაც ეს კრება დანიშნულია მეორეთ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება.

2—772—1 გამგეობა

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

სახაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131.

შაბათს 26 აგვისტოს

I

ბავშვების საღამო

გიმნასტიური სათამაშოები, მუსიკა, ცეკვა, ბავშვებისათვის წარმოდგენა და ბალეტი ორ განყოფილებათ.

II

ბავშვებისათვის მოწვეული გამოჩენილი ფოკუსნიკი

რომელიც აჩვენებს ბავშვებს ფოკუსებს და სხვა...

დასაწყისი საღ. 6 საათზედ.

ანონსი:

კვირას 27 აგვისტოს.

I

მოზრდილ ახალგაზრდებისათვის საღამო

სხვა და სხვა გასართობებით.

II

კონცერტი-კაბარე

სიმღერები, ცეკვა, მუსიკა.

დასაწყისი საღამოს 7 საათზედ.

2—742—1

ექიმი

გ. გ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა სამკურნალო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

გ. ი. მარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—[illegible]—)

ექიმი

გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, კონსერვატორიის ძველი შენობის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს სამშობიარო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 66, მეორე სართული.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—12)

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—7

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, მეორე სართული, ტელ. 9—58.

ექიმი კბილისა

ე. ივ. გაღარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3.
(1-ლი სამილიციო ნაწილი).
4—748—თ.

[illegible]

[illegible] ანტონის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

კავკასიის ადმინისტრატიული გადამიჯვნა

საშინაო საქმეთა სამინისტროდან ამიერ-კავკასიის კომიტეტმა მიიღო დამზადებული პროექტი კავკასიის გუბერნიათა გადამიჯვნისა. ეს პროექტი პეტროგრადის საგანგებო კომისიის წევრთა უმრავლესობას მოუწონებია, რომელნიც დამფუძნებელ კრების კანონის შემადგენელ თათბირში მონაწილეობდნენ ქართულ, სომხურ-თათრულ პარტიების სახელით.

პროექტის ავტორი დაშნაკცუტიუნის პარტია ყოფილა...

ამ პროექტით, სამინისტროს რომ მოუწონებია, ამიერ-კავკასიაში იქნება სამი ეროვნული ერთეული: ქართულ-სომხური და თათრული. კერძოდ სომხებისათვის ელისავეტპოლ, ერევან თბილისის გუბერნიებს და ყარსის ოლქს სჭრიან და ახალ გუბერნიას აარსებენ: ალექსანდროპოლისას და განძაკისას. არას ვამბობთ იმაზე, ჩვენ თუ როგორ ეხება ასეთი გადამიჯვნა თათართურქთა ეროვნულ, პოლიტიკურ და პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს,—ეს მათ უკეთ იციან—ჩვენ კი მოვალენი ვართ მივაქციოთ ქართველი ერის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბუნებრივად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად, კულტურულად და ისტორიულად მთლიანი საქართველოს ტანის დაჭრისა და დასახიჩრების საფრთხე არასოდეს არ ყოფილა ისე ახლო, როგორც დღეს: სარევოლიუციო საშინაო სამინისტროს და ეფენდულოვების თანამშრომლობით შედგენილი პროექტი რომ განხორციელდეს, საქართველო დაჰკარგავს თითქმის მთელ ახალქალაქის მაზრას და ბორჩალოს მაზრის ნაწილს.

საქართველოს ნაციონალური ინტერესის დამცველნი არას გზით არ შეურიგდებიან ასეთ ოპერაციებს და ამის ხელის შეწყობა მხოლოდ ისეთ „მოყვრებს“ შეუძლიათ, რომელთაც კავკასიაში ახალი მაკედონიის შექმნა არ აშინებთ!..

გუშინწინ სახალხოში პოლიტიკურ პარტიათა საგანგებო თათბირი იყო ამ საგანზე... გადასწყდა ეს საკითხი ამიერ-კავკასიის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთა საოლქო ყრილობაზე გაირჩეს საბოლოოდ...

ახალქალაქისა და ბორჩალოს მცხოვრებნი, რომელთაც შეუგნიათ საქართველოში ყოფნის აუცილებლობა, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, მთელ ქართველობასთან ერთად მოვალენი არიან ხმა ამოიღონ და განაცხადონ, რომ ახალქალაქსა და ბორჩალოს ბედი თბილისთან, და არა ალექსანდროპოლთან ან ელისავეტპოლთან არის შეკავშირებული საუკუნოებით.

გ. ვ.

რუსეთის ვითარება

რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ანტიპოდები—ბოლშევიკები და რეაქციონერები—დაუზოგველად ებრძვიან არსებულ დროებითი რევოლიუციურ მართველობას. უკიდურესი სოციალისტები არ დაკმაყოფილდენ რევოლიუციის ნაყოფით და წამოაყენეს იმგვარი მოთხოვნილებანი, რომელთა განხორციელება ძირიან-ფესვიანად შეარყევს თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების საფუძველს და სავსებით დასცემს რუსეთის ისედაც ლატაკ ვაჭრობა-მრეწველობას. უკიდურესი მემარჯვენენი სარგებლობენ ამ გარემოებით და რესტავრაციას ნიადაგს უმზადებენ. ბოლშევიკების უხერხული მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ ყველა მათ პოლიტიკურ გამოსვლას თან ახლავს აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლაც. ჯერ-ჯერობით ორივე პოლიტიკური მიმართულება ერთ და იგივე მიზანს ისახავს და საკვირველიც არ არის მათი დროებითი შეუღლება.

რევოლიუციურ მთავრობის გასაჭირი უმთავრესად ის არის, რომ იგი იძულებულია ორ ფრონტზე იბრძოლოს და რამდენადაც ძნელია ეს ბრძოლა ცხადია იქიდან, რომ ივლისის შეიარაღებულ აჯანყების ჩაქრობაში მთავრობის ყურადღება მიიპყრო მხოლოდ ბოლშევიკების მოქმედებამ, ნამდვილად-კი იმ სამარცხვინო დღეებში რეაქციონერები თუ მეტს არა, ნაკლებად არ „ღვწოდენ“. მთავრობამ და ფართო საზოგადოებამ ეს ნათლად ვერ შეიგნო.

აჯანყების ჩაქრობის პირველ დღეებში პრესაში აღნიშნული იყო მრავალ ბნელ ძალების მონაწილეობა უწყალო ჟლეტაში, მაგრამ არავის წარმოედგინა, რომ მათ ზურგს უმაგრებდა დარაზმული და მჭიდროდ შეკავშირებული კონტრ-რევოლიუციური შეთქმულობა.

ამ ჟამად გამოირკვა, რომ რევოლიუ-

ცრულ წყობილების მემარჯვენე მტრებს მთელ რუსეთში ჰქონიათ მოწყობილი ორგანიზაციები. ძველი წესების მოტრფიალენი მიმართავენ საგანგებო ზომებს, რომ ცხოვრების მოუწყობლობით გამოწვეული ხალხის უკმაყოფილება უმწვერვალესობამდე მიიყვანონ და, მაშასადამე, მოამზადონ პირობები ამბოხებისათვის. დიდი მთავრების მიხეილ ალექსანდრეს ძის და დიმიტრი პავლეს ძის შეპყრობა ეჭვს აღარა ჰბადებს შეთქმულობის სიდიადეში: მათ მიწერ-მოწერა და ინსტრუქციები უგზავნიათ სხვა და სხვა კუთხეში, ხოლო ფრეილინა ხიტროვოს შუამდგომლობით საქმის ვითარებას ამცნობდენ ტობოლსკში პყრობილებს.

ყველა დაჯერებული იყო, რომ რევოლუცია უზრუნველყოფილია, ყოველს შემთხვევაში მას საფრთხე არ მოელის კონტრ-რევოლუციონერების მხრივ. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ რევოლუციის მსვლელობა გადასცდა უტყუარ ხაზს, რომელიც განამტკიცებდა ხალხთა მართველობის იდეას; რევოლუციის ძალებ-შორის ჩამოვარდა შუღლი, ერთმანეთისადმი უნდობლობა! პარტიათა შორის გამწვავება იქამდის მივიდა, რომ გუშინდელი ამხანაგები—ერთი მოძღვრების მადიარებელნი და ერთი საქმის მსახურნი დღეს გაყოფილან ორ მოპირდაპირე ბანაკად და სასტიკად ებრძვიან ერთი მეორეს.

საერთო საზოგადოებრივი განწყობილება არ გვაძლევს იმედს, რომ განმათავისუფლებელი ხალხის მოძრაობა გამარჯვებულად ჩავთვალოთ! პირიქით, პოლიტიკური კრიზისი, უწინაც გართულებული, ანარქისტული ჯგუფების მეოხებით, დღეს გაუარესდა; შინაურ არეულობას თან დაერთო უბედურება ბრძოლის ველზე. მრისხანე მტერი ფეხ-და ფეხ მოსდევს დამარცხებულ რუსის ჯარს, რომელიც, ოფიციალური დახასიათებით, დაუკავებელ ღვარივით მოექანება პსკოვის გზატკეცილზე და ვინ უწყის სად შეჩერდება!?

ომის წინააღმდეგ კომპანიას არამც თუ რიგის, პეტერბურგის აღებაც ვერ მოსპობს. ხალხის სვინდისი და თავმოყვარეობა რაღაც ახირებულ ძალამ ჩააჩლუნგა. რუსის ერი არც იმას უწევს ანგარიშს, რომ რუსეთი ამოიშალა დიდი სახელმწიფოთა სიიდან, არც იმას აწუხებს, რომ ძლიერ ადვილად შესაძლებელია წამოუწყოს საშინელმა რეაქციამ და სისხლის მორევში ჩაახრჩოს თავისუფლების ნორჩი ხე, არც ის ესმის მას, რომ ამაოდ მიდის ამოდენი თაობის უანგარო რევოლიუციური მოქმედება და ნიავს ჰბარდება მათი უექველი ღვაწლი!

რეაქცია თავს იწევს! მისი დამქაშები გაათკეცებული ენერგიით მოქმედებენ და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელიან, რომ დაჰკრან ნაღარა, რომ ღრმად ჩაუსონ რევოლუციას სასიკვდილო ისარი და აღადგინონ ისტორიას ჩაბარებული წეს-წყობილება.

ამ ჭეშმარიტად განცდის ჟამს საჭიროა ყველა რევოლუციურ ძალთა შემოკრება, რომ დაცულ იქმნას დემოკრატიული წესები და ხალხთა თავისუფლება. ეს უმეტესად ყურადსაღებია იმ პოლიტიკურ წრეებისათვის, რომელთაც, როგორც ხმა დადის, კიდევ განუზრახავთ შეიარაღებული აჯანყება. ადვილი მოსალოდნელია, რომ მათ უნებლიეთ ხელი შეუწყონ რესტავრაციის მოტრფიალეთ და ცნობილ მეთევზის ცოლისებრ ხელში შერჩეთ მხოლოდ გაჩეხილი ვარცლი.

რ. ინგილო.

ქართული პრესა

თბილისის ბოლშევიკები და „საქართველო.

ჩვენ გაზეთში თავის დროზე დაბეჭდილი იყო რუსეთის ბოლშევიკების ლიდერის ნ. ლენინის სურათი, ავრეთვე 3—4 ივლისის მომხდარ ამბების გამომძიებელ კომისიის ოქმი ნ. ლენინის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებებით.

ამას ძალიან გაუბრაზებია თბილისელი ლენინისტები და იმათი საკვირაო „ბრძოლა“ სწერს:

> რუსეთის ბურჟუაზიას ერთი რიხიანი წინამძღოლი ჰყავს და ერთი უტიფარი ორგანოც აქვს. პირველის გვარი, მოგეხსენებათ, მილიუკოვია, ხოლო მეორეა მისი გაზეთი „რეჩი“.
>
> საქართველოს წელმოწყვეტილ ბურჟუაზიასაც აქვს თავისი გაზეთი „საქართველო“, თუმცა რიხიანობა მისი ნაკლებათ მოგვაგონებს მილიუკოვის „რეჩის“ რიხიანობას, სწორეთ ისე, როგორც რუსეთის ბურჟუაზია—ჩვენს ილაჯ გაწყვეტილს ბურჟუაზიას. მარა, რადგან კლასი, ყველგან თავის კლასობრივ იდეოლოგიას ატარებს, ჩვენმა ბურჟუაზიამაც ამ რევოლიუციის საშინელ კრიზისში იდროვა და თავის „მე“ გამოიჩინა.
>
> საქმე იმაშია, რომ რუსეთის ბურჟუაზიას მოსვენება დაუკარგა ამ რევოლუციის დროს ლენინის სახით მოვლენილმა „წითელმა აჩრდილმა,“ და ის ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს აჩრდილი როგორმე მოსპოს, მისი მოწოდება და გავლენა ხალხზე გააქროს, და, აი, ამ მიზნით მან შეთხზა ბრალდება ლენინის შესახებ, მოჰგონა ათასი რამ ცილისწამება მასზე და თავის „ყვითელ პრესას“ დააკისრა, რომ ავრცელოს ლენინზე ეს ბრალდებები და ჭორები.
>
> „სულმა სულს ენდო და გულმა გულს“: გაზ. „საქართველომ“ ხალას ჭეშმარიტებათ ჩათვალა ყველა ეს ჭორები და ის თავის ფურცლებზე ბურჟუაზიული ხასიათით და „ნიშნის მოგებით“ გამოფინა.
>
> მკითხველი „საქართველოს“ მე-161 №-ში მეოთხე გვერდზე ნახავს გულის შემზარავ, დამახინჯებულათ დახატულ ნ. ლენინის სურათსო“ დ სხვა...
>
> გულმოსული გაზეთი შემდეგ კითხულობს:
>
> „რას ნიშნავს ეს?
>
> მხოლოდ ერთს—როგორც ჩვენი ხალხი იტყვის ხოლმე ასეთ შემთხვევაში: „ვოჰმა კუდი აიბზიკა მეც ნახირ-ნახირიო“. სწორედ ასეა: ჩვენმა ბურჟუაზიამაც „კუდი აიბზიკა“ მეც რუსეთის ბურჟუაზიას უნდა მივბაძო, ლენინი მეც უნდა ვდევნო და შევაჩვენოო!“...

ჩვენ არ ვიცით რად დასჭირდა გაზეთ „ბრძოლას“ ანალოგიები და ჩვენი შედარება „რეჩ“-თან და მილიუკოვთან, ჩვენ არავის ნათესაობაში არ ვეძებთ საკუთარ გამართლებას.

ლენინის შესახებ ბრალდებებმა, რომელნიც ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა, „რეჩ“-ის გარდა შემოიარა ყველა რუსული გაზეთები, ბოლშევიკების გაზეთების გარდა. ამის გადმობეჭდვით ჩვენ ავასრულეთ პოლიტიკური გაზეთის მოვალეობა და არავითარ „ნიშნის მოგებას“ აქ ადგილი არ ქონია.

რაც შეეხება ნ. ლენინის სურათს ჩვენ დავბეჭდეთ, ის სურათი, რომელიც ვნახეთ, უკეთესი არ შეგვხვდრია. დარწმუნებული ვყავით იმაში, რომ ლენინის პიროვნების გავლენას და მიმზიდველობის სეკრეტი მარტო მის სილამაზეში არ არი.

„ბრძოლის“ ანდაზაზე მხოლოდ ის გვეთქმის, რომ „ნახირში“ ჩვენ არასოდეს არ გვივლია და ხალხური ანდაზა კი იმასაც ამბობს, რომ „უკუდო ხარი, სხვებს ბუზებს უგერემდაო“...

რევოლუცია

პეტროგრადის მუშათა საბჭო და სიკვდილით დასჯა

(ჩხეიძესი და წერეთლის დამარცხება ბოლშევიკებისაგან)

მარიამობისთვის 18. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომა შესდგა.

ნ. ს. ჩხეიძემ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით წინადადება მისცა სხდომას—მოესმინა მოსკოვის თათბირის შესახებ მოხსენება და შემდეგ მსჯელობა ექონია.

ბოლშევიკების სახელით **ფედოროვმა** განაცხადა, რომ განსახილველია მორიგი და მეტად მნიშვნელოვანი საკითხები: სიკვდილით დასჯისა, დაპერილ ბოლშევიკებისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანიზაციის შესახებ.

სოციალისტ - რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით **კაპლანმა** განაცხადა, რომ ამ სხდომას ფრაქცია წინასწარ სხდომის გაგრძელებად სთვლის და პირველად სიკვდილით დასჯისა და დაპერილთა საკითხების განხილვას თხოულობსო. **ჩხეიძემ** კენჭი უყარა აღმასრულებელ კომიტეტის წინადადებას. **უმრავლესობამ იგი უარჰყო და** კაპლანის წინადადება მიიღო.

სიკვდილით სასჯელის შესახებ მომხსენებლად გამოვიდა მენშევიკ-ინტერნაციონალისტი მარტოვი. მან აღნიშნა, რომ რუსეთის ყველა კუთხიდან მოდის რეზოლუციები, რომლითაც სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოითხოვენო. მარტოვმა წინადადება მისცა კრებას შემდეგი რეზოლუცია მიეღო. გვაქვს რა მხედველობაში: 1) რომ სიკვდილით დასჯას, როგორც დანაშაულობასთან საბრძოლველ საშუალებას უარყოფს არამც თუ ყველა სოციალისტური პარტია, არამედ თითქმის ყველა დემოკრატიც; 2) რომ სიკვდილით სასჯელი მძიმე დაღს ასვამს საერთოდ მცხოვრებთ და კერძოდ რუსეთის იმ უბედურ შვილებს ვინც ნებით თუ უნებლიეთ მონაწილეობს სასჯელის გამოყენებაში; 3) რომ სიკვდილით სასჯელი თანდათან ჯარის კაცების შესამჩნევლად მიღებულ ზომად ჰხდება 4) რომ სიკვდილით სასჯელს კონტრ-რევოლუციის ყველა მოღვაწენი თავიანთ მოქმედების შესაფერად სახვენ 5) რომ შესაძლოა ჯარის დაშლას წინააღმდეგობა გაუწიოთ არა მხეცურ ზომებით, არამედ მის დემოკრატიზაციით და იმ შეგნებით, რომ იგი იმპერიალისტურ მიზნებისთვის არ იბრძვის—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სწყვეტს: პროტესტი განაცხადოს ფრონტზე სიკვდილის შემოღების გამო; მოითხოვოს დროებითი მთავრობისაგან მისი გაუქმება, ზიზღი გამოუცხადოს იმ მილიტარისტულ და ბურჟუაზიულ წრეებს, რომლებიც სასჯელის შესახებ აგიტაციას ეწეოდნენ;—საყვედური სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან აქამდის იმდენი გამბედაობა ვერ იქონია, რომ სიკვდილით სასჯელის საკითხი აღეძრა.

სოციალისტ - რევოლიუციონერების სახელით **იაკოვლევმა** ილაპარაკა. მან სთქვა: ფრონტზე სიკვდილის შემოღება ჩააფიქრებს უბრალო ჯარისკაცს: რატომ სიკვდილით დასჯა გენერალ სუხომლინოვს ან და მეფე რომანოვს არ ხვდება წილადო. ვიდრე სიკვდილით დასჯის საკითხს გადასწყვეტდეთ დიდხანს უნდა ვიფიქროთ. სიკვდილით დასჯა ფრონტზე ხომ ჩვენ სოც. რევოლუც. ამხანაგებმა შემოიღეს. კერენსკი ხომ ჩვენია, სავინკოვიც და ისინი კი სიკვდილით სასჯელს მოითხოვდნენ (ბოლშევიკები იცინიან) ნუ იცინით (ყვირის იაკოვლევი) აქ ტირილი გმართებთ. უნდა განვეცადოთ ის ტანჯვა, რომელსაც განიცდიდნენ ამხანაგები კერენსკი და სავინკოვი ვიდრე სიკვდილით დასჯის კანონის შემოღებას გადასწყვეტდნენ. მოიგონეთ კალიაევის უკანასკნელი წუთები და თვით სავინკოვი ხომ სასწაულით გადარჩა, იგი ხომ საპყრობილეში სასჯელს ელოდა. მათი გაკიცხვა არ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ გაფრთხილება, რომ ამ მძიმე იარაღს არ მიმართონ. იაკოვლევის მიერ სოციალისტ-რევოლიუციონერების სახელით წამოყენებული რეზოლიუცია არსებითად არ განირჩეოდა მარტოვის რეზოლუციიდან.

იაკოვლევის შემდეგ **წერეთელმა** ილაპარაკა.

აქ კითხულობენ რა იყო მიზეზი, რომ ცენტრალი კომიტეტი სიკვდილით სასჯელის შესახებ ხმას არ იღებდა, რა იყო მიზეზი რომ უმრავლესობა ბელადებმა პროტესტი არ განაცხადეს მის შესახებო. ამაზე მე გიპასუხებთ: ვინც ეს სთქვა, მას ცენტრალ კომიტეტის მოქმედებისთვის თვალყური არ უდევნებია. სიკვდილით სასჯელის შემოღების მეორე დღეს ცენტრალ კომიტეტის სხდომა იყო. მინისტრ სოციალისტები ანგარიშს ვადგენდით ჩვენს მუშაობის შესახებ. აქ ჩვენ საყვედური გამოგვიცხადეს. ამის გამო მივმართე მარტოვს, რომ თქვენი საყვედური ეხლა დაგვიანებულია და ეხლა ახალი, ერთი მეტად სერიოზული რამ არის საკითხი—ამაზე თქვენ არაფერი სთქვით. რატომ მაშინ არაფერი სთქვით სიკვდილით დასჯის შესახებ,—იმიტომ რომ ეს მკათათვის 3—5 ივნისის შემდეგ იყო., მაშინ თუ გაჩუმდით, ალბად იყო ისეთი რამ, რაც გაჩუმებდათ (ბოლშევიკების პროტესტები)

და მოხდა ის, რომ იმ რევოლიუციონერმა, ვინც სიკვდილით დასჯის მოსპობით ამაყობდა, ხელი მოაწერა სიკვდილით სასჯელის შემოღების კანონს. მაშინ იცოდით თუ რად იქმნა შემოღებული სიკვდილით სასჯელი. ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა პეტროგრადში მომხდარი სისხლის ღვრა და ფრონტზე უწესოება. გაქცეული ჯარის საქციელი ხომ ყველას აწითლებდა. დიახ, მკაცრ საჭიროების მოთხოვნილებამ შემოიღო სიკვდილით სასჯელი და აი თვეზე მეტია რაც ეს სასჯელი არსებობს. მითხარით ამხანაგებო, განა რას მიაღწევთ სიკვდილით სასჯელის მოსპობით. ხომ არ გსურთ მოუწოდოთ ქუჩებში პოლკებს და დროებით მთავრობის ჩამოგდებას შეეცადნეთ.

— მოუწოდებთ კიდეც და დროებით მთავრობის ჩამოგდებასაც შევეცდებით,—უპასუხებენ ბოლშევიკები.

— არა, თქვენ ქუჩებში პოლკებს ვერ გაიწვევთ—უპასუხებს წერეთელი. ამ შემთხვევაში პატიოსნებაა საჭირო.

— სირცხვილია,—ისმის ბოლშევიკების ხმა.

— დიახ, მეც ვამბობ—სირცხვილია, მხოლოდ დღე ისტორიამ განსაჯოს, თუ ვინ იქნება შერცხვენილი მე თქვენ გკითხავთ, განა შესაძლებელი იქნებოდა ერთი თვის წინად სიკვდილის შემოღება? რა თქმა უნდა, არა, თვით გუჩკოვსაც კი არ მოესიზმრებოდა ეს. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. განა ფრონტზე ღალატს არ ჰქონდა ადგილი, განა წინ წასული პოლკები არ გასცეს?

— გენერლებმა—ყვიროდენ ბოლშევიკები.

— დიახ, გენერლებმა—უპასუხებს წერეთელი—და ასეთი გენერლები უნდა დაისაჯნენ. უნდა ვეცადნეთ რომ სიკვდილით სასჯელის იარაღი რევოლიუციის ხელში უნდა იყოს და არა მის წინააღმდეგ მოქმედებდეს. ამჟამად ბრძოლაა რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციის შორის. რევოლიუცია მტკიცედ სდგას თავის ასპარეზზე. თქვენ ეხლა წამოჰყავით თავები სიკვდილით სასჯელის შემოღების მეორე დღეს კი არსად სჩანდით. წერეთელი ტრიბუნას სტოვებს. მას მქუხარე ტაშით აცილებენ.

მშრომელ სახალხო სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ პარტია პრინციპიალურად წინააღმდეგია სიკვდილით სასჯელისაო.

ტრიბუნაზე ისევ მარტოვი ადის.

— ბევრი რამ სთქვა წერეთელმა, მაგრამ ის კი ვერ გავიგე გარკვევით, მოითხოვს თუ არა წერეთელი სიკვდილით სასჯელის გაუქმებას. წერეთელმა სთქვა. „მკათათვის 3—5-ის ამბები რომ არ მომხდარიყო—არც სიკვდილით სასჯელი იქნებოდა“-ო. (ხმები: „მართალია“) შეიძლება მართალიცაა მაგრამ შესაძლოა ტყუილიც იყოს. მაგრამ მე ვერ გამიგია, როგორაა ეს, რომ პეტროგრადში მკათათვის 3-ის სროლამ ფრონტზე სიკვდილით სასჯელის აღდგენა გამოიწვია. ჩვენ არ გვსურს ვინმემ უსაყვედუროს სოც. რევოლიუციონერებს, რომ მათ სიკვდილით სასჯელის შემოღებაზე ხმა არ ამოიღეს, ამიტომ უნდა განუცხადოთ დროებით მთავრობას, რომ ჩვენ უარს ვაცხადებთ სიკვდილით სასჯელის შემოღების მხარის დაჭერაზე. ჩხეიძე კენჭს უყრის მიყოლებით მარტოვის რეზოლიუციას. შედეგი გამოურკვეველია, და, ამიტომ მარტოვის წინადადებით კენჭი ეყრება მარტო იმ პუნქტს, რომელიც ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს უცხადებს პროტესტს. ამ პუნქტს მომხრე აღმოჩნდა 381—მოწინააღმდეგე 428.

მარტოვის რეზოლიუცია სიკვდილით სასჯელის წინააღმდეგ უმრავლესობის მიერ მიღებულ იქმნა. წერეთელმა თავი შეიკავა.

ქალაქთა კავშირის ყრილობა მოსკოვში

მოსკოვი. მარიამობისთვის 23. სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი ღვინობისთვის პირველისათვის ქალაქთა კავშირის მე-7 ყრილობას იწვევს მოსკოვში.

კონტრ-რევოლუციურ შეთქმულების გამოძიება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 23. კონტრ - რევოლიუციურ შეთქმულების გამოძიება ენერგიულად სწარმოებს. დამტკიცდა, რომ ამ უკანასკნელ დღეებში შეპყრობილ დიდ მთავრებს და ყოფილ მეფის ზოგიერთა მახლობელ პირებს მემარჯვენეებთან ჰქონდათ კავშირი. გამოირკვა აგრეთვე, რომ მონაწილეთ დიდძალი ფული უგროვებიათ. შეთქმულების ქსელი გაბმული ყოფილა არამ თუ მარტო პეტროგრადში, არამედ მოსკოვში, კიევში, ოდესაში და ციმბირში.

საპროფესიო სწავლა-განათლება.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 22. სახალხო სამინისტროს საპროფესიო სწავლა - განათლების დეპარტამენტი სთხოვს კავშირებს, აცნობონ ხოლმე დეპარტამენტს თავიანთ თათბირების მოწვევის ამბავი შესახებ საპროფესიო სწავლა-განათლების გავრცელებისა.

კრება სასკოლო და სკოლის გარეშე სწავლის შესახებ ქარხნებში.

მოსკოვი. მარიამობისთვის 22. გათავდა კრება სასკოლო და სკოლის გარეშე სწავლის შესახებ ქარხნებში. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ყველას იბრძოლონ ზავისათვის და სიკვდილის დასჯის გაუქმებისათვის.

„სტარო-ობრიადცების“ კრება.

მოსკოვი. მარიამობისთვის 22. გაიხსნა კრება „სტარო-ობრიადცებისა“, რომელნიც ჩამოვიდნენ აქ რუსეთის ყოველი მხრიდან. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რიაბუშინსკი, რომელმაც წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოს საშინელ განცდის დროს. ჩვენი ჯარის გარეწნამ მიაღწია შეუძლებელ მდგომარეობამდე, რომელიც უქადის თვით რუსეთის არსებობას. შიმშილიც კარს გვადგება. ჩვენ, „სტარო ობრიადცები“, უნდა შევერთდეთ ერთ კლდედ, რომ დავიცვათ ნგრევისაგან რუსეთის სახელმწიფო. ჩვენს შორის შეუძლებელია სულ-მოკლენი, ძმებო „სტარო-ობრიადცებო“, ისმინეთ ჩვენი სიტყვა. აქამდე ჩვენ გვეშინოდა ერთმანეთისა, ახლა დადგა დრო, როცა უნდა გაიგოთ ჩვენი მართალი სიტყვა და მთელი ჩვენი ხალხით აღვუდგეთ ჩვენი დიდებულ სამშობლოს, მაგრად დიდად უბედური რუსეთის დაცვისათვის.

სუხომლინოვის გასამართლება.

საპოლიციო მოხელის კრემენის ჩვენება.

პეტროგრადი, მარიამობისთვის 24. საპოლიციო დეპარტამენტის მოხელე კრემენი აჩვენებს, რომ მიასოედოვი ცდილობდა მიეღო საიდუმლო ცნობანი საპოლიციო დეპარტამენტიდან და თვით შკაფის გასაღებიც კონტრ-ძიებისა, მაგრამ უარი მიიღო.

საპოლიციო მოხელის ერანდოკოვის ჩვენება.

კონტრ-ძიების ბიუროს უფროსი პოლკოვნიკი ერანდოკოვი აჩვენებს, რომ მიასოედოვი ცდილობდა მიეღო საიდუმლო ცნობანი და ოფიციალური ბრძანებაც კი გამომიგზავნა შტაბის უფროსისგან, რომ გადამეცა ხოლმე მისთვის საბუთები, მაგრამ უარი ვუთხარი. მაშინ მიასოედოვმა მითხრა, რომ სუხომლინოვს უნდა თქვენი გაცნობაო. მე ვინახულე სუხომლინოვი და მან მითხრა, რომ უფროსების დაუკითხავად გადამეცა ხოლმე უსაჭიროესი ცნობანი მიასოედოვს და არც არავის უთხრა ეს ამბავი. თვეში რამდენჯერმე მე ყოველთვის მიმქონდა ცნობები და საბუთები სუხომლინოვთან.

დროს ძველებურად ზომა.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 24. სათბობის შესახებ საქმეთა საგანგებო კომიტეტის წინადადებით დროებით მთავრობამ დაადგინა, რომ ღვინობისთვის პირველ ღამიდან დროს ზომვა ძველებურად დაიწყონ. 1918 წელში დროს ერთი საათით წინ წაწევა მარტის პირველ ღამიდან უნდა დაიწყონ.

რუსეთი და უცხოეთი

ამერიკის მუშათა დემოკრატიულ კავშირის კონფერენცია

ნიუ-იორკი. მარიამ. 23. პრეზიდენტმა ვილსონმა მიმართა წერილით ამერიკის მუშათა ასოციაციის პრეზიდენტს გამპერსს, რომელშიაც უწონებს იდეას ამერიკის მუშათა დემოკრატიულ კავშირის კონფერენციის მოწვევაზე.

რიბო და საფრანგეთის კაბინეტი

პარიზი. მარ. 23. გაზეთების ცნობით, რიბო ამ კვირის დამლევს პრეზიდენტს კაბინეტის თანამდებობიდან გადადგომას წარუდგენს. მას აზრად ახალ კოალიციონურ სამინისტროს შედგენა აქვს. ხსენებულ სამინისტროში მემარცხენე პარტიები ფართე მონაწილეობას მიიღებენ.

ფრანგ სოციალისტების კონგრესი

პარიზი. მარ. 23 ფრანგ სოციალისტების ეროვნული კონგრესი დაიწყება ბორდოში ღვინობისთვის 6-ს.

ლენინი

ციურიხი. მარ. 22. შვეიცარიის სოციალისტური წრეები ამტკიცებენ, რომ ლენინი შვეიცარიაში არ არისო.

ჩინეთის სამხრეთ პროვინციების დროებითი მთავრობა.

პეკინი. მარიამობისთვის 23. მსჯელობენ ჩინეთის ომში აქტიურ მონაწილეობის შესახებ. ამასთან ერთად მსჯელობაა აგრეთვე, საბაჟო ტარიფების გადიდების. სამხრეთ პროვინციებში სამხედრო უფროსებს ერთიერთმანეთში უთანხმოება აქვთ. ამით ისარგებლა საკანტონო რადიკალთა ჯგუფმა და სუნის მეთაურობით დროებითი მთავრობა შეადგინა.

მკვლელობა და თავის მოკვლა.

მოგილევი. მარიამობისთვის 23. მიწისმოქმედების გამგეობის მოხელემ პრიტჩენკომ მოკლა ჯერ ცოლი, ორი შვილი და შემდეგ თვითონაც თავი მოიკლა. მიზეზად ასახელებენ დიდს წაგებას.

საბერძნეთის სამინისტროს სასამართლოში მიცემა.

ათენა. მარიამობისთვის 20. დეპუტატთა პალატაში 30 დეპუტატმა გუნარისის სამინისტროს უმაღლეს სასამართლოში მიცემა მოითხოვა.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ფრონტი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 24. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის რაიონი. ლიფლიანდიის მდ. აას ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იხევს. პსკოვის გზატკეცილის რაიონიდან ჩვენი ჯარი ზეგევოლდ-ლიგატის რაიონში გადავიდა. ეს რაიონი ვენდენიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ 25 ვერსის მანძილზე მდებარეობს. რიგის აღმოსავლეთით მოქმედ ჯარმა კლინგენბერგ მორციცბეგისა და კასტარან ფრიდრიხშტადტის ხაზებს მოაწია. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

რუმინეთისა და კავკასიის ფრონტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რიგის აღების შემდეგ

რუსის ჯარის მდგომარეობა

პეტროგრადი მარიამობ. 24. სამხედრო განმარტებანი ჩვენი ჯარის დახევის შესახებ ჩრდილო-ფრონტზე გრძელდება. ფრონტმა უკვე მიიღო განსაზღვრული სახე, რომელიც აერთებს სამს ნაწილს: მარჯვენა ფრთისა, ზღვის-პირი; ცენტრალი, რკინისგზასთან ვენდენზე და მარცხენა ფრთისა რკინის გზიდან ფრიდრიხშტადტამდე, ცენტრალი ნაწილი ჯარისა იმყოფება ზეგევოლდისა და ლიგატის მიდამოებში, 25 ვერსზე ვენდენის სამხრეთ-დასავლეთისკენ. ცხენოსანი ჯარი და არტილერია იბრძვის მათგან სამხრეთ დასავლეთით, როგორცა სჩანს ზეგევოლდ და გინცენბერგს შორის. სამარი ფრონტი ჯერ არ გასცილებია ფრიდრიხშტადს.

ინგლისელების აზრი რიგის დამხობაზე

ლონდონი. მარ. 23. რეიტერის სააგენტო იუწყება: მცოდნე წრეები რიგის დამხობას დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ. მისი დამხობა მოსალოდნელი იყო და დასაცველად ზომები იყო მიღებული.

რუსეთის სამხედრო პირთა აზრი

პეტროგრადი. მარ. 23. სამხედრო საქმეთა მცოდნე პირთა სიტყვით, ჩვენი ჯარის მდგომარეობას ჩრდილოეთ ფრონტზე იმან უშველა, რომ რიგის ყურეში, როგორც ირკვევა, იმ დროს არა ყოფილა გერმანელთა ფლოტი. ამიტომ მოსალოდნელი შიში გაუქმდა. ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ჯარები, რაკი გონს მოვლენ პირველი დაკვრისაგან, წინააღმდეგობას გაუწევენ გერმანელებს. ცნობა დესანტის გადმოსხმაზე რიგის ყურის ნაპირზე ნაადრევია. ჩვენი ჯარები ჯერ-ჯერობით იგერიებენ მტრის იერიშებს. მდგომარეობა გვიმსუბუქდება იმით, რომ მტერი გვიტევს მხოლოდ ფრონტიდან და მარცხენა მხრიდან და არა ზურგიდან.

პეტროგრადის დაცლა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 24. პეტროგრადის დაცლის შესახებ პირველ სხდომაზე, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი თავმჯდომარეობდა სხვა და სხვა უწყების, ქალაქის თვითმართველობათა და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. თათბირმა დაადგინა: მიღებულ იქნეს ზომები დროებით მთავრობის დადგენილების განსახორციელებლად. ხსენებულ დადგენილებით კი პეტროგრადში არ შეუშვებენ ისეთ პირებს, ვინც ან მუდმივი პეტროგრადის მცხოვრები არ არის ან და სამსახურის საქმეზე არ მიდის. გზათა მინისტრი განკარგულებას მოახდენს, რომლითაც პეტროგრადის ბილეთებს არავის მისცემენ, თუ საგანგებო ნებართვა არ ექნებათ. თავიანთ ნებაზე პეტროგრადში შესულ პირებს დაუყოვნებლივ უკან გადმოასახლებენ. თათბირმა საჭიროდ სცნო, დახმარება აღმოუჩინოს იმ მცხოვრებთ, ვინც თავიანთ ნებით პეტროგრადიდან გასვლას დააპირებს. თათბირმა სამი განყოფილება შეადგინა: სასანიტარო-სასურსათო, საფინანსო და ერთიც პეტროგრადის დაცლის გეგმის შემმუშავებელი. სასწრაფო საკითხების განსახილველად ხსენებულ სამ განყოფილების წარმომადგენელთაგან საგანგებო შეერთებული ორგანო შედგა. მის თავმჯდომარედ ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ნიკიტინია.

საფრანგეთის ფრონტი.

პარიზი. მარიამობისთვის 22. ოფიციალური. იურტებიზის რაიონში იერიშები მოვიგერიეთ. საპინელის აღმოსავლეთ ჩვენი ზვერავები მტერს თავს დაესხნენ. შამპანში სუენ-სომპის გზის ორსავე მხარეს დიდ ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ და 800 მეტრის მანძილზე წინ წავიწიეთ და 40 ტყვე და 4 ტყვიისმფრქვეველი იგდეს ხელთ. მაასის მარჯვენა მხარეზე კალეზე თავდასხმა მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. მტრის მფრინავთა ყუმბარებით რამდენიმე კაცი მოკლული და დახოცილი. ჩვენმა მფრინავებმა სუასსონის ჩრდილოეთით, სადგურ ლაგარესთან მტრის საავიაციო შენობებს აუტეხეს სროლა. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე სადგურებს—რურელში, ლიხტერველდში, გამსგეიმში, ფრესკატში, კოლმარში, კონფლანში, კამბრეში, ტიონვილში და მეტცაში, სადაც დიდი აფეთქება მოხდა. ჩვენმა მფრინავებმა სულ 15.500 კილომეტრი ასაფეთქებელი მასალა ჩაყარეს. მტერს საგრძნობი ზარალი მივაყენეთ. ჩამოვაგდეთ 13 ჰაეროპლანი.

პარიზი. მარიამობისთვის 23. გუშინ საღამოს, ძლიერი სროლის შემდეგ, გერმანელებმა შემოუტიეს ჩვენს პოზიციებს კაზემატის ფაკე-გორის პირდაპირ, მაგრამ შევაჩერეთ ვიდრე მოაღწევდნენ ჩვენამდე. მოვიგერიეთ მტერი აგრეთვე შამპანში, როცა ის უეცრად თავს დაგვესხა კასკის გორასთან. თვით ჩვენ დავეცით მტერს ტედონის ძთასთან და წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე. მაასის ორივე ნაპირზე სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. ზემო ელზასში, სეგუას ნაწილში, მზვერავთა შეტაკებაა.

მფრინავთა მოქმედება. ამ ღამეს გერმანელთა მფრინავებმა კვლავ დააყარეს ყუმბარები ვერდენის ზურგით მყოფ სანიტარულ პუნქტებს. არის დაჭრილები. ბარლე-დიუკშიაც გააჩაღეს ძლიერი სროლა, დაიღუპა რამდენიმე მოქალაქე. 22 მარიამობისთვეს ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთის 6 ჰაეროპლანი და 5-ც დააზიანეს. ჩვენმა ორმა ჰაეროპლანმა გუშინდამ ყუმბარები ესროლა ქალაქ ტრირს და სადგურებს—ტულეის და [illegible], ჰაეროდრომს გისტელეში და სახედრო საწყობებს ტურუტში, სადაც გავაჩინეთ ძლიერი ცეცხლი, ყაზარმებს ლაონში, ჰაეროდრომს შლეშტადში და ქარხნებს გაროლდანგში.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მარიამობისთვის 23. ოფიციალური. მარიამობისთვის 21-ს ღამე ლანსის ჩრდილოეთით მტერს თავს დავესხით და 4 ტყვიისმფრქვეველი ვიგდეთ ხელში. იპრის ფრონტზე ორსავ მხრის საარტილერიო მოქმედებაა. გერმანელების არტილერია ნიუპორის რაიონში მოქმედებდა.

მფრინავთა მოქმედება. ამ უკანასკნელ 2 ღამეს გერმანელთა მფრინავები ჩვენს ზურგს უშენდნენ ყუმბარებს. გუშინ მფრინავები დიდ მოქმედებას იჩენდნენ. ჩამოვაგდეთ გერმანელთა 11 ჰაეროპლანი, დავაზიანეთ 3. ჩვენ 7 ჰაეროპლანი გვაკლია.

საამირბაროს ცნობა. მარიამობისთვის 21. ჩვენი მფრინავები ბრიუგეს სანაპიროებს თავს დაესხნენ. ყუმბარები დაუშინეს გისტელესა და ბარინგნარის ჰაეროდრომებ. მარიამობისთვის 22 მრავალგან ცეცხლი გავაჩინეთ.

ინგლისის საამირბაროს ცნობა.

ლონდონი. მარიამობისთვის 22. გუშინდელ თავდასხმით ჩვენმა ფლოტმა შემდეგი ზარალი ნახა: მოკლულია 107, დაჭრილია 86.

ახლო აღმოსავლეთი.

პარიზი. მარიამობისთვის 22. გუშინ მონასტირის ჩრდილო-დასავლეთ თ ბარატინდოლის რაიონში 15 ტყვე წამოვიყვანეთ. ვარდარის მარჯვენა მხარეზე და სტრუმის მარცხენაზე საარტილერიო მოქმედებაა.

გერმანელთა ჰაეროპლანები ინგლისში

ლონდონი. მარიამობისთვის 22. ინგლისის სატერიტორიო ჯარის უფროსი იუწყება: მარიამობისთვის 21-ს მტრის მფრინავები კუნძულ ტანეტის შირნეს-ჩატამის რაიონს დაესხნენ თავს. დაიღუპა 9 მოქალაქე, მოკლულია 1. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

ქალაქ დუვრის თავდასხმა.

ლონდონი. მარიამობისთვის 23. სადედაქალაქო ლაშქრის უფროსის ცნობა. მარიამობისთვის 21. წუხელ მტრის ჰაეროპლანმა დუვრს სროლა აუტეხა. ჩამოაგდეს 7 ყუმბარა. მოკლულია 1 კაცი, 4 დედაკაცი და 2 ბავშვი.

ლონდონის თავდასხმა.

ლონდონი მარიამობისთვის 23. სადედაქალაქო ლაშქრის უფროსი მარიამობისთვის 22-ის თარიღით იტყობინება: ორშაბათ საღამოს გერმანელების რამდენიმე ჰაეროპლანმა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე გადაიარა და ზოგ-ზოგ ალაგას ყუმბარები ჩამოყარა. ყუმბარები ჩამოყარეს აგრეთვე ლონდონის განაპირა უბნებში. ზარალი გამოურკვეველია.

სტოკჰოლმის სოციალისტური კონფერენცია.

სტოკჰოლმი. მარიამობისთვის 20. სტოკჰოლმის სოციალისტურ კონფერენციის მომწყობი კომიტეტი იუწყება, რომ კომიტეტმა უარი განაცხადა მარიამობისთვის 27-სათვის კონფერენციის მოწვევაზე, ვინაიდან ინგლისში მეტად გამწვავდა პასპორტების მიცემის საკითხი. ახალი დრო დანიშნული იქნება ლონდონიდან რუს ელჩების დაბრუნებისას.

ამერიკა რუსეთს დახმარებას ჰპირდება.

ნიუ-იორკი. მარიამობისთვის 23. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ შეერთებული შტატები, გარდა ფინანსიურ დახმარებისა, მზად არიან დაეხმარნენ რუსეთის დროებით მთავრობას მის პრაქტიკულ პროგრამის შესრულებაში.

სასურსათო კრიზისი რუსეთში.

ფილდლიხი. მარიამობისთვის 23. დეპუტატთა საბჭომ დაგზავნა მაზრაში თავისი რწმუნებულნი, რომლებმაც უნდა გამართონ მიტინგები და მოუწოდონ ხალხს იმაზე, რომ საჭიროა პურის გამოღება და ქალაქებში ჩამოზიდვა.

ჩეხო-სლოვაკების ჯარი.

პერმი. მარიამობისთვის 24. ნიჟნე-ტაგილის, მაიკორსკის და ურალის სხვა ქარხნებში საზეიმო გამოსათხოვარები გაუმართეს იქ მომუშავე ტყვე-სლოვაკებს, რომლებიც ჩაირიცხნენ ჩეხო-სლოვაკთა ჯარებში.

ოსმალეთის სოციალისტები

სტოკჰოლმის კონფერენციის კომიტეტმა გამოსცა შედეგები იმ თათბირისა, რომელიც ჰქონია კომიტეტს, სხვათა შორის, ეგვიპტელ ეროვნულ წარმომადგენლებთან, სპარსეთის დემოკრატიულ პარტიასთან, ინდუსთა სარევოლუციო ჯგუფებთან და ოსმალეთის მუშათა ორგანიზაციებთან.

ყველა ეს ორგანიზაციები უცნობი იყო სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევის განცხადებამდე, მას შემდეგ კი გერმანეთმა უდიდესი ყურადღება მიაქცია წვრილ, დაჩაგრულ ერებს და ცალკე საზოგადოებაც კი შეადგინა ბერლინში სახელწოდებით „Das-Nene Orient“ განყოფილებით შვეიცარიაში, საიდამაც მას შემდეგ უმთავრესად იგზავნებოდნენ სტოკჰოლმის კონფერენციაზე ზემოდ დასახელებული ჯგუფების წარმომადგენელნი.

საინტერესოა მეტადრე შედგენა და შექმნა ნემეცებისაგან ოსმალეთის სოციალისტური პარტიისა, რომლის წარმომადგენელნი მიღებული იქნენ სტოკჰოლმის კომიტეტისაგან. ამ დელეგაციის შედგენის ისტორიას ჟენევაში ასე მოგვითხრობენ: მიმდინარე წლის მაისში, როცა ხმა-მაღლა დაიწყეს ლაპარაკი სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ, ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ბრძანება ბერლინიდან შეადგინონ ოსმალეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. მთავრობამ ამ საქმის მოგვარება მიანდო პოლიციას, რომელმაც თავი მოუყარა სტამბოლსა და სხვა ქალაქებში მუშებსა და მოაწყო პარტიად. ახალგაზრდა ოსმალთა ცენტრალ კომიტეტის ბრძანებით, მისმა და პარლამენტის ზოგიერთმა წევრებმა მიატოვეს ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის წევრობა და ჩაეწერნენ ხელად გამომცხვარ ოსმალეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, სადაც ლიდერებად ითვლებიან: მუხიენ-სადეკ-ალი-ბეი, ბაქილი, რომელსაც სწავლა დაუმთავრებია მოსკოვის უნივერსიტეტში და მანამდე ითვლებოდა ახალ-გაზრდა ოსმალთა პარტიის ცენტრალ კომიტეტის წევრად, უკიდურესი ნაციონალისტი, პანთურქი და მტერი ყოველგვარ სოციალისტურ მიმდინარეობისა. მეორე—წევრი ოსმალეთის პარლამენტისა და ახალგაზრდა ოსმალთა პარტიისა, სმირნელი ურია, ნესიმ მახლია,—აგრეთვე კეთილ-მორწმუნე ნაციონალისტი და პანთურქი. რწმუნებიან, რომ სტოკჰოლმში ესენი, თავიანთ შორის, თითონვე დასცინოდნენ თავიანთ სოციალისტობას.

უკანასკნელი დეპეშები
პეტროგრადიდან

გაზეთი „ოტეჩესტვო“ სწერს: ახლო მომავალში პეტროგრადი ზურგის პუნქტად გადიქცევა, და საჰაერო ვიზიტებსაც უნდა ელოდესო.

—

დაიხურა „ჟივოე სლოვო“, „რუს“-ი და „პროლეტარი“.

მოსკოვიდან

დროებითმა მთავრობამ ჩერნოვის სამიწათმოქმედო კანონპროექტი არ მიიღო. ხმებია, რომ ჩერნოვი თანამდებობას თავს ანებებსო.

—

დონის ყაზახთა ატამანი კალედინი ატყობინებს დროებით მთავრობას: დონის სამხედრო მთავრობა დაჟინებით მოითხოვს, რომ მათში ერობა არ დაარსდეს და არც კომისრები დანიშნონ.

—

გერმანელთა რადიოტელეგრაფი იუწყება: ყოფილი რუსის ჯართა ზრბო როგის ჩრდილო-აღმოსავლეთით იფანტება. პსკოვის გზა გახსნილია.

—

ხმებია, რომ დაპატიმრებული კონტრ-რევოლუციონერები, პეტრე პავლეს ციხიდან ნიჟნი-ნოვგოროდში გადაიყვანესო.

—

მთავრობას მოსკოვში გადმოსვლა განუზრახავს.

—

დიდ მთავართა დაპერის გამო კერენსკისა და კადეტ-მინისტრებს დიდი ბაასი ჰქონდათ.

—

შესაძლოა ამ თვის ბოლოს მოსკოვში ახალი სახელმწიფო სათათბირო მოიწვიონ.

—

მთავრობის წრეებში ლაპარაკობენ: შესაძლოა მთავრობაში წერეთელი თუ ჩხეიძე და ნაბოკოვი მოჰყვნენო.

ქრონიკა

თბილისი

◆ **დელეგატების არჩევა საეკ კრებაზე.** ხვალ, მარიამობისთვის 27-ს ყველა ეკლესიების გალავანში მრევლი აირჩევს თავის რწმუნებულებს, რომელნიც მარიამობისთვის 30-ს საოლქო საბჭოში თავიანთ შორის აირჩევენ დელეგატებს საეკლესიო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად ენკენისთვის 8 ს. ქართულ ეკლესიის საქმეთა დროებით სამმართველო სთხოვს ყველა ქართველს ისარგებლოს თავისი მოქალაქობრივი უფლებით და თავისი ხმა არ დაჰკარგოს.

◆ **ახალი ქართული გიმნაზია მასწავლებელთა კოლეგიისა.** ჩერქეზიშვილის სკოლა გადაკეთდა ქართულ სრულ უფლებიან გიმნაზიად. პირველ სამ განყოფილებაში სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. მოწაფეებს ღებულობენ პირველ სამ განყოფილებაში და 1-2-3-4 და 5 კლ. განმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 11-ს, სწავლა კი ენკენისთვის 20-ს. მისამართი: ოლღინსკაია ქ. № 17. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

◆ **ნავთის გაძვირება.** თბილისის მენავთეები ნავთის გაძვირებას თხოულობენ და მიზნის მისაწევად ნავთი სრულებით აღარ გამოაქვთ გასასყიდად. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა სანიხრო კომისიას მიანდო ამ საკითხის სასწრაფოდ მოწესრიგება.

◆ **ტყავეულობის და ფეხსაცმლების გატანის აკრძალვა.** თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის განკარგულებით თბილისიდან და თბილისის გუბერნიიდან აკრძალულია ყოველგვარი ტყავეულობისა და ფეხსაცმელების გატანა, მათ შორის ჩუსტების. კომიტეტს აზრად აქვს უფრო სამართლიანად მოაწესრიგოს ამ საქონლის განაწილება მცხოვრებთა შორის.

◆ **პურის გასაყიდი ადგილების გამრავლება.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა გაამრავლოს გამომცხვარ პურის გასასყიდი ადგილები.

◆ **კომისიის არჩევა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის სანიხრო კომისიის წევრებად ხელახლად არჩეული არიან ძველი წევრები ნ. წერავა, ს. ქვარიანი, ალშვანგი და მაკაროვი; ამათ გარდა კომისიაში შევიდა ახალი წევრი ბ-ნი ბელი.

◆ **ქართული წარმოდგენები.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრი ნ. ერისთავი და ქართველ მსახიობთა კავშირის გამგეობის წევრები კ. ანდრონიკაშვილი და შ. დადიანი დროებითი მთავრობის კომისარ პაპაჯანოვთან იყვნენ და სთხოვეს, რომ მომავალ სეზონში ქართველი წარმოდგენების გასამართად დაუთმოს მათ კვირაში ერთჯერ სახაზინო თეატრი. პაპაჯანოვმა მთხოვნელები თეატრის კომისარ კულნოვთან გაგზავნა, რომელიც თეატრის მოიჯარადრე ევლახიშვილთან ერთად გადასწყვეტს საკითხს აღძრულ შუამდგომლობის შესახებ.

◆ **ბ-ნი ლინდენი,** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის რწმუნებული, მარიამობისთვის 24-ს წარუდგა საქართველოს კათალიკოზის მოსაყდრეს თბილისის მიტროპოლიტს ლეონიდეს.

◆ **ყოვლადსამღვდელო კირიონი** თავისს სამშობლო ნიქოზიდან (ქართლი) თბილისს დაბრუნდა.

◆ **ქალაქის საბჭო** ორშაბათს, მარიამობისთვის 28-ს, სხვათა შორის განიხილავს გამგეობის მოხსენებას შესახებ ერთი მილიონი მანეთის სესხად აღებისა მოკლე ვადით.

◆ **ქალაქის გამგეობას** კვირაში ორ-ჯერ ექნება სხდომები, რომელთაც დაესწრებიან გამგეობის უფროსი მოსამსახურენი, მაგალითად, უფროსი ინჟინერი, უფროსი ბუხჰალტერი, უფროსი კონტროლიორი და სხ.

◆ **ქალაქის თარჯიმნები.** ქალაქის გამგეობამ უკვე მოიწვია შტატი ადგილობრივ ენების (ქართული, სომხური, თათრული) თარჯიმნებისა და ამის შემდეგ ყველას შეუძლიან თხოვნები ქალაქის გამგეობაში შეიტანონ თავიანთ სამშობლო ენაზე დაწერილი და პასუხიც ამავე ენაზე მიიღონ.

◆ **მიტინგები.** ხვალ, მარიამობისთვის 27-ს, შესრულდება 6 თვე რუსეთის დიდი რევოლუციის დღიდან. ამის გამო თბილისში მრავალ ადგილას დანიშნულია სახალხო მიტინგები.

◆ **სამედიატორო სასამართლო.** როგორც წინედ ვსწერდით, ალ. არლუთინსკიმ (ქალაქის გამგეობის წევრად ყოფნის დროს) სამედიატორო სამართალში გაიწვია გაზეთ „ბორბა“-ს ხელმძღვანელნი ამ გაზეთში დაბეჭდილ ერთი წერილის გამო, რომელიც მას, არლუთინსკის, ეხებოდა. ეს სასამართლო უკვე შესდგა და საქმის გარჩევას შეუდგა. გაზეთის დამცველებად გამოვიდნენ ნაფიცი ვექილები (ს. დემოკრატები) ნ. ქარცივაძე და ბრონსკი, ხოლო არლუთინსკის მხრივ — ვექილები (სოც. რევ.) ხუდადოვი და სოკოლიანსკი, სუპერ-არბიტრად არჩეულია ვექილი ანდრეევი, ორივე მხრივ მიწვეული არიან. საქმის გარჩევას დიდი ხალხი ესწრება.

◆ **სანატორიის დაკეტვა.** საპყრობილედან განთავისუფლებულ ავადმყოფ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის გახსნილი ბორჯომის სანატორია დაიკეტა სათანადო დაწესებულების განკარგულებით.

◆ **შესდგა თბ. საგუბ. კომისია,** რომელმაც უნდა განიხილოს სასამართლოს განკარგულების გარეშე დატუსაღებულთა საქმეები. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია საოლქო სასამართლოს წევრი კირასოვი, ხოლო წევრებად საგუბერნიო საკომისაროდან და ქალაქის საბჭოდან თითო რწმუნებულები. საქმის გარჩევა მოხდება ოლქის სასამართლოში მარიამობისთვის 26, 28—31-ს და ენკენისთვის 2-ს.

◆ **პროფ. ნ. მარრი** თბილისში მოვიდა. როგორც გადმოგვცეს ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში ის სამეცნიერო აზრით გამგზავრებას აპირებს სხვა და სხვა ადგილებში.

◆ **დაბრუნდა თბილისს** ცემიდან ვასო აბაშიძე, საცა სააგარაკოდ იმყოფებოდა. მსახიობს მოხდენია მთის ჰაერი და თავს კარგად გრძნობს. იგი ამ დღეებში გურიაში მიემგზავრება სასტროლოდ და შემდეგ კახეთში წავა.

ქუთაისი

◆ **პრაპორშჩიკის მოკვლა.** ჯარის კაცთა ბრბოს ქუჩაში პრაპორშჩიკი კობახიძე მოუკლავს. ვიღაც ჯარისკაცს კობახიძისთვის რევოლვერი მოუთხოვნია. კობახიძეს არ მიუცია. ჯარისკაცი მივარდნია და ჩხუბი გაჩაღებულა. ჩხუბის დროს რევოლვერი გავარდნილა. ხმაზე ჯარისკაცები მოცვივნილან და კობახიძე მოუკლავთ.

◆ **რეალურ სასწავლებლის დირექტორად** ამავე სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით არჩეულ იქმნა მასწ. ივანე გ. ჩხილაძე.

◆ **სწავლის დაწყება.** წელს ქუთაისის სასწავლებლებში სწავლა დაიწყება ენკენისთვის 20-ს. მისაღები და განმეორებითი გამოცდები 9-დან. სასულიერო უწყების სასწავლებლებში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 25 დან, სწავლა კი ღვინობისთვის 1-დან.

ბათუმი.

◆ **საქონლის გადატანის აკრძალვა.** ბათუმის საოლქო სასურსათო საბჭომ მიიღო დეპეშა სასურსათო მინისტრის მთავარ რწმუნებულისგან კავკასიაში, რომლითაც ეცნობება საბჭოს, რომ რკინის გზათა მარეგულირების ცენტრალმა კომიტეტმა აღკრძალა გადატანა საქონლის კერძო პირის მისამართით.

◆ **ბათუმის გარნიზონის** სამხედრო ორგანიზაციების კონფერენციამ 15 აგვისტოს დაადგინა—პროტესტი განაცხადოს მთავარსარდლის გენერალ პრჟევალსკის ბრძანების წინაღმდეგ, რომელიც კრძალავს სამხედრო კომიტეტების ორგანიზაციას.

ნ. ჟ. ელიავას მოხსენება.
სასურსათო საქმე.

სასურსათო საქმის ვითარება მხარეში პირდაპირ კატასტროფულია. გამოზოგვილი სანოვაგე ამიერ-კავკასიაში, არაფერი გვაქვს, მოსავალიც ცუდია და რომ, თუნდა მცირე ხნით, შესწყდეს რკინის გზით მიმოსვლა, შიმშილი აუცილებელია. ჩრდილოეთმა კავკასიამ, რომელიც მუდამ ჰკვებავდა ჩვენს მხარეს, ამ წელს უნდა გამოკვებოს რუსეთის ჩრდილო გუბერნიები, სადაც სრულიად მოიცდარა მოსავალი. რადგანაც აწეწილ-დაწეწილია ტრანსპორტი, გადაწყვეტილია ისარგებლონ მდინარეებით და სანამ ზამთარი უსწრობდეს და მდინარეებს გაჰყინავდეს დაჩქარებით გადაზიდონ მოსავალი ჩ. კავკასიიდან ჩ. რუსეთში. ეს არის მიზეზი, რომ თვალ-საჩინოდ შემცირდა პურის მოტანა იქიდან ჩვენს მხარეში. მარიამობისთვეში თბილისის გუბერნიას უნდა მოსვლოდა 480 ვაგონი პური და 19 ამ თვემდის კი მხოლოდ 109 ვაგონი მიგვიღია. ქ. თბილისს გამოზოგვილი აქვს 70—80 ვაგონი და ამით ვიდგამთ დღევანდლამდე სულსა. გუბერნიისთვის სრულიად არ იშოვება მოტანილი პური და ხალხი ადგილობრივი პურით უნდა წავიდეს იოლად. რომ წესიერად მოხმარებული იქმნას ადგილობრივი პური, სასურსათო კომიტეტებმა აღკრძალა პურის გატანა სხვა გუბერნიებში და აგრეთვე ყოველგვარი კერძო გარიგება პურზე. რომ სისწორით გავანაწილოთ მაზრებზე რაც პური მოგვეპოვება, თბილისის გუბერნიას ეყოფა ადგილობრივი პური მხოლოდ 1—$1^1/_2$ თვით. თვით ქალაქი-კი უზრუნველყოფილია მხოლოდ 10 დღით. როცა შესწყდება ნაოსნობა რუსეთში, პურის მოტანა ცოტათი იმატებს, მაგრამ საზოგადოდ კრიზისი კვლავ გაღრმავდება. დაგვეჭირდება დავეხმაროთ პურში სიმინდი, ქერი, კარტოფილი. ქალაქში ვაპირებთ საკარტო სისტემის შემოღებას პურზე—თითო გირვანქა კაცის თავზე. მოსალოდნელია ამის დაკლებაც. კარტოფილისა და საქონლისათვის საჭირო საკვების სყიდვაც და ანგარიშიც იტვირთა სასურსათო კომიტეტმა.

შაქრის კრიზისს არ განვიცდით დღეს, მარიამობისთვეში, მაგრამ შემდეგ-კი აუცილებელია. შაქრის საქმე წინანდებურათ იმყოფება „შაქრის ცენტრალის“ ხელში. კომიტეტმა დაადგინა ეს საქმეც თვით იტვირთოს, რადგანაც საქმე ისე მიდის, რომ ლამის არის ხალხი სულ უშაქროდ დარჩეს. მომხსენებლის აზრით, სამხრეთ-დასავლეთ მხარეში ჯერაც ბლომად არის შაქარი მიმალული და თუ ამ ადგილებს მტერი არ დაეპატრონა და ქალაქთა მცხოვრებნიც თანასწორ სოფლის ხალხთან მიიღებენ სულზე $^5/_6$ გირვანქისას, შაქარი არ დაგვაკლდება.

მანუფაქტურის მოწოდების საქმე დღევანდლამდე ცუდათ არის დაყენებული. სასურსათო სამინისტრომ აღგვითქვა მანუფაქტურის მოწოდება, მაგრამ თვით მას არ აღმოაჩნდა საკმაოდ გამოზოგი. სამინისტრომ ახლა აიღო თავის ხელში წარმოება ხალხური მანუფაქტურისა. მკათათვის ბოლო რიცხვებში თბილისშიც დათვალეს მანუფაქტურა და აღმოჩნდა 4 მილ. 8 ათასი არშინი, მაშინ როდესაც თვითეული სეზონისთვის საჭიროა 66 მილიონი არშინი. აღმოჩენილი გამონაზოგი განაწილდება მაზრებზე, გასყიდვა გადაეცემა მომხმარებელ ამხანაგობებს სავაჭრო ქარტებით. გატანა გუბერნიიდან აღკრძალულია. ნაწილდება შეშის საქმეც. კომიტეტს უნდოდა ეს საქმეც თავის ხელში აეღო და თვითონ დაემზადებინა შეშა, მაგრამ მუშა-ხელის უშოვნელობა აძნელებს საქმეს. უკიდურეს შემთხვევაში საჭირო იქნება ჩამორთმევა მთელს გუბერნიაში დამზადებულ შეშისა, მაგრამ ეს ზომა კრიზისს მაინც ვერ აგვაცდენს. ყურადღება უნდა ვაქციოთ აგრეთვე ღვინის საქმეს. საჭიროა ფასის აწევა ღვინის ყიდვის დროს, რომ შეძლებით საკმაოდ დავამზადოთ იგი ჯარისათვის.

უმთავრესი დაბრკოლება და ნაკლი სასურსათო კომიტეტებისა არის გამოცდილ მუშაკთა უქონლობა, ასევე საქალაქო გამგეობაში. სასურსათო საქმის მდგომარეობა მართალია მძიმე, მაგრამ თუ დემოკრატია გამოიჩენს მაქსიმუმ ენერგიას, კრიზისიდამ თავის დაღწევა შესაძლებელია.

დავიწყებულ კუთხეებიდან
(ახალი მთავრობის გამაგრება)

ჩვენი გულის დასამშვიდებლად თავისუფლების მედროშეები გვეუბნებიან: „დაიცადეთ, შეურიგდით დროებით უწყალო სიძვირესა, ნუ რისხავთ მწარედ იმ ბოროტ-მოქმედ პირებთა, რომელნიც იძულებულ არიან თავს უცოდინარობით და რეგვენობით გაერიონ საძაგელ საქმეებში. მოვა მალე დრო და ყველას გაგვეხსნება სასუფევლის კარები“. ეგ კარგი ნუგეშია. მაგრამ ალბათ იმათ არ იციან, რომ „პეტრეს მოსვლამდინ პავლეს ტყავი გააძვრესო“.

მობრძანდით და აბა ნახეთ, რას დაემსგავსა ჩვენი ბათუმის მშვენიერი და კეკლუცი ბულვარი! აქ მოდის დიდი და პატარა წმინდა ჰაერის საპოვნელად, აქ მოდიან საბრალო ავადმყოფი ქალები ზღვაში საბანაოთ; მაგრამ რამოდენიმე ეხლანდელი თავისუფალი მოქალაქეები არავის არ აძლევენ მოსვენებას. დადიან თავით ფეხამდის გაშიშვლებული, როგორც ჩვენი მამათ მთავარი წინაპარი ადამი და საშიშარ მდგომარეობაში აყენებენ მობანავე ქალებს. ახდენენ უწყალოდ მშვენიერ და ძვირფას მცენარეებს, მოპოვებულსა ხალხის ფულებიდან. ეგ ახლანდელი თავისუფალი მოქალაქეები დადიან გულ-გახსნილი, თავ-შიშველი, ფეხშიშველი, მთელ დღეებს ატარებენ ქეიფში, ძილში, უსაქმობაში და ღამით მიდიან თავდასაცემად და გასაძარცვავად მშვიდობიან მოქალაქეებისა. მათ უფლებაშია ცხენები, მათ უფლებაშია ავტომობილები, რომლებშიაც ეხვევიან როსკიპ ქალებსა და მათთან დროს ატარებენ. *)

აი მოხსენება ბათუმის მილიციის უფროსისა ბატონის ძამპაევისა თავის მთავრობასთან: „დიდ ბოროტებას წარმოადგენენ ის გარყვნილი ქალები, რომელნიც ძველი მთავრობის დროს იყვნენ მიმალულნი და ეხლა თავი დიდათ მაღლა ასწიეს. ახალ თაობამ ამათ მისცა დიდი თავისუფლება. მრავალ მათ ძველ მიჯნურებმა, რომელნიც ეხლა გაყვანილი არიან სალდათობაში, მოჰკიდა მათ ხელი, როგორც ვითომ კანონიერ ცოლებსა და ატარებენ მათთან დროებას. ჩაიგდეს ხელში გარყვნილებიდან შემოსავალი ფულები, აშკარათ ვაჭრობენ აკრძალულის სასმელებითა და არღვევენ საზოგადოების სიმშვიდესა და სიწყნარეს. ამ მიჯნურებს მისცა ხელი იმ ქურდებმა და ავაზაკებმა, რომელნიც ძველად მალულად ასრულებდენ მათ საზიზღარ მოქმედებასა. ეხლა კი იმათ არა აქვთ არავისი მორიდება: ქურდობა, გაძარცვა, ვაჭრობა სასმელებისა, გაფუჭება მშვენიერ ბაღებს მცენარეებისა, ქაღალდის თამაში, აშკარად გარყვნილება, შესვლა ქალების საბანაო ადგილში—ეგ სულ მათი მოქმედებაა“...

საბრალო მილიციონერებს არ შეუძლიათ ამოიღონ ხმა. ერთი მილიციონერი კინაღამ სიკვდილზედ მიაყენეს მატროსებმა და სალდათებმა, რომელზედაც აგრეთვე არის შეტანილი მთავრობასთან ვრცელი მოხსენება იმავე მილიციის უფროსისაგან.

უბედურება ის არის, რომ ამ ბოროტმოქმედებით ამრავლებენ რიცხვთა უკმაყოფილო პირებისას და წიხლს სცემენ სისხლით მოპოვებულ თავისუფლებასა. მე არ ვამბობ, რომ ამ ბოროტ-მოქმედებაში ყველანი მონაწილეობას ღებულობდენ, მაგრამ ახალ მთავრობამ და ყველა კეთილ-მზრუნველებმა უნდა მიიღონ მკაცრი ზომები, რომ მოსპონ ეგ საზიზღარი მოვლენები და თავისუფლებას შეუმაგროს საფუძველი.

მშვენიერი და დიდათ საინტერესო შენიშვნა არის მოყვანილი ქუთაისის გაზეთში „ჩვენი ქვეყანა“ (№ 89). შესახებ მიწებისა. ამ შენიშვნას ყველამ უნდა მიაქციოს თავისი ყურადღება, განსაკუთრებით სოფლების მუშა ხალხმა.

„სოციალიზმის შემოღებამდე, ამბობს ამ შენიშვნის ავტორი, **სულიერი განწყობილების გარდაქმნა არის საჭირო... ეხლა კი ყოველი ქართველი** უმცირესი მემამულე გლეხია იგი თუ

---

*) წარმოიდგინეთ, საზღვაო ლაზარეთის ავადმყოფებიც დადიან ეგრე გულ-გახსნილი ქუჩებზედ და ბულვარში. წვანან შიშველ მიწაზედ და იჩენენ ახალ სნეულებას. ლაზარეთს აქვს თავისი სასეირო ადგილი, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან.

თავადი, ვერც კი გაიგებს და ძლიერ წინააღმდეგობას გაუწევს მიწის ამა თუ იმ გვარათ გასაზოგადოებრივებასა. მისთვის გაუგებარი იქმნება, თუ რისთვის უშლიან მას მიწა გაყიდოს, დააგიროს, შვილს გადასცეს და გააჩუქოს... ერთი ორი ქცევის მიმატებისათვის სოფლელი არ იტყვის უარს კერძო საკუთრების უფლებაზე... თუ იზამთ სიკეთეს და სხვას ჩამოართმევთ, სოფლელი მოითხოვს, მე გადმომეცით, ოღონდ სრულ ჩემ საკუთრებაშიო... რას მაძლევთ იმის ფასს, რომ ჩემი უფლება შევზღუდოო? შეიძლება პირველ ხანებში, სანამ ზოგნი კარგათ გამოირკვეოდნენ, დაგვეთანხმონ, მაგრამ, როცა ყოველ წვრილმანს გაითვალისწინებენ, როცა შედეგი ამ სოციალიზმისა გამოაშკარავდება, მაშინ ატყდება ისეთი აურ-ზაური, რომ ძაღლს თვისი პატრონის ცნობა გაუჭირდება. ამ წუთის უნდა გვეშინოდეს და ამიტომ ყოველ სიტყვას ძლიერ დაუკვირდით..."

ბევრი და ბევრი საუკუნე გავა, მინამ სოციალიზმის ქადაგება დადგება თავის საფეხურზედ და ისიც დიდი საეჭვოა, დადგება თუ არა? იმ სოციალიზმის ქადაგებას, რომელსაც ავრცელებენ თბილ ოთახებში რომელნიმე პირნი და არიან ყოვლად უცნობნი სოფლელ ხალხის ცხოვრებისა, ჯერ არ მისცემია განხორციელება არა რა განათლებულ სახელმწიფოებში. ვიმეორებ, რომ ჩვენ გვინდა რაღაც შეუსრულებელი კანონები მივსცეთ მთელ ქვეყანას და თითონ არ ვიცი, მიიღებენ თუ არა ამ კანონებსა?

ჩვენ კურთხეულ საქართველოს ღმერთმან მისცა მშვენიერი და უუმდიდრესი ბუნება. მაშასადამე თავ და პირველად უნდა შევუდგეთ ჩვენ სარგებლობას ამ სიმდიდრისა. ეგ მაშინ შეიძლება, როცა ჩვენ ვიქნებით აღჭურვილნი შრომის სიყვარულით, სწავლით და ტეხნიკური ცნობით. რად გვინდა მიწის შემატება, თუმც არ ვიცით მისი შემუშავება.

აბა დაუკვირდეთ საზღვრის-გარედან მოსულ პირებსა, რომელნიც მოკლე დროს განმავლობაში მდიდრდებიან ჩვენი ქვეყნის სიმდიდრითა. თუმც პირობები ადგილისა ერთი და იგივე არიან, მაშინ, რისთვის ვართ ჩვენ დაღარიბებულნი და ისინი გამდიდრებულნი? ჩვენდა საუბედუროდ, აქამომდე არა გვაქვს საჭირო მეურნეობის იარაღები. ვინ არის პატრონი ჩვენი მადნეულობისა, ჩვენი ძვირფასის ტყე და ბარებისა, ჩვენი ყოველივე ბუნების სიმდიდრით? არიან კიდევ ის საზღვრ-გარედგან მოსული პირები, რომელნიც დიმილით უცქერიან ჩვენ სულიერ სიღარიბესა და გვაწოდებენ ველურებთან. ჩვენთვის ღმერთს მოუცია დიდი ნიჭი, მაგრამ ვფლავთ მიწაში ამ ნიჭს და დროს ვატარებთ უსაქმობაში და მშვენიერ მეტყველებაში. თუმც იშვიათად ვინმე ჩვენგანმა დაიწყო კულტურული შრომა, მაშინ ვცდილობთ დავამხოთ პირქვე ეგ კულტურა და განვაძოთ მისი კეთილდღეობა.

მე ვგონებ, მეზობლობა შეძლებულ ადამიანთან არ მოგვიტანდა ზარალსა, თუმც ეგ ადამიანი სცდილობს შენი ცხოვრების გაუმჯობესობასა და შენ წასვლასა კულტურულ გზაზედ. თუმც მიზნად გაქვთ მისი განადგურება და ქვეშდამხობა, მაშინ არც თქვენ საქმეს დაადგება კეთილდღეობა.

მე ვიცი ამ გვარი მემამულე, რომელსაც შეუწირავს თავის თავი სიყრმიდგან კულტურული მეურნეობის შემუშავებაში. დღე და ღამე შრომობს, როგორც უბრალო მუშა. იყო დრო როდესაც მას თითონ დაყავდა ურმები და თავის ხელით ამზადებდა მჭადსა და ამით გამოდიოდა. ეს და, შემდგომ მრავალის წლის შეუწყვეტელის მუშაობისა, მისი მამული მოფენილია კულტურული ვენახით, ჩაით, მანდარინით, ფორთოხლით, თხილით, დაფნით, ინდოეთის ლერწმის (ბამბუკი) ხეებით და სხვა და სხვა ხეხილის და ბაღჩის მცენარეულობით. თავიდანვე ამ მემამულემ გაუხსნა ღარიბ და უსწავლელ მეზობლებს სიყვარული და ხალისი ამგვარ სასარგებლო მცენარეების გავრცელებისა და ეხლა თქვენ ნახავთ, რომ ბევრ მის მეზობლებსაც აქვთ გაშენებული კარგი ჯიშის ვენახი, ჩაი, მანდარინი და სხ. ჩაის ფოთლების მოკრეფის დროს თქვენ ნახავდით 4—8 პაწაწინა გოგოებს, რომელნიც, როგორც თეთრი მტრედები, ესეოდენ და ჰკრეფდენ ჩაის ფურცლებსა და ღებულობდნენ შესაფერ ფასებსა. ეგ მემამულე ღებულობდა მონაწილეობას სიტყვით და საქმით ყოველ სასარგებლო ხალხის საქმეში ეხლაც?.. ეხლა უნდა ამ მემამულეს მოსპოს ყოველივე კულტურული მუშაობა თავის მამულში, რადგანაც მუშების დიდი ფასის მოთხოვნილება ხელს არ აძლევს განაგრძოს ეგ სარგებლიანი საქმე.

რასაკვირველია, რომ მუშებს უნდა მომატება ფასებისა, მაგრამ ეგ ფასები უნდა იყოს ღვთიანი. გარდა ამისა განა ჩვენი მუშები და ევროპიელი მუშები ერთნაირი არიან? განა ეგრე არიან მომზადებულნი ჩვენი მუშები, როგორც განათლებულ სახელმწიფოებში?

ჩვენი ძველი გამოცდილნი და ცეცხლის ალის ქვეშ გამოვლილნი სოციალ-დემოკრატები, რომელთა რიცხვში მრავალმა მათგანმა 1905 წელში სიცოცხლე დასტია კატორგაში, მრავალი დასნეულდა განუკურნებელ სნეულობით, ეხლა მართლა წარმოადგენენ ხალხის ერთგულ წევრსა და სცდილობენ ხალხის გულ-კეთილობასა.

ეხლანდელი ამორჩეული სოხუმის ქალაქის თავად ბატონი ჩხიკვიშვილი ჭეშმარიტად ეკუთვნის იმ წევრებსა, რომელთაც გამოუცდიათ თავს-თავზედ ძველი მართებლობის ბრჭყალები და რომელნიც მუდამ იდგნენ გმირულად და ებრძოდენ უსამართლო ძველ მართებლობასა მოუანიჭებლად თავისუფლებისა. დაუვიწყარი სიტყვა წარმოსთქვა მან ერთ კრებაში იმაზედ, რომ რევოლიუციის მთავრობას უნდა მიეცეს ძალა განუსაზღვრელი უფლებისა და არავის არა აქვს ნება, რომ მას ჩამოხსნას ეგ უფლება, რომელიც დიდათ განსხვავებულია ძველი სასტიკის უფლებიდგან. თავისუფალი ხალხი უნდა იყოს თავისუფალი ყოვლის ბოროტმოქმედებისაგან. ღმერთმან ინებოს განმრავლება ამნაირი ხალხის ერთგულის მოღვაწეებისა, როგორც ბატონი ჩხიკვიშვილი. ღმერთმან მისცეს მას ძალა და ღონე განსახორციელებლად მისის პატიოსნის და უანგარო სამსახურისა თავისუფალის ხალხის სასარგებლოდ.

ამ ომის დაწყებამდინ ქართველი გმირების სისხლით მორწყული იყო მთელი საქართველო. სპარსეთი, სათათრეთი და საბერძნეთიც. ეხლა ქართველობის სისხლით მოირწყო თითქმის ყველა ევროპის და აზიის სახელმწიფოები. წაიკითხეთ წერილი ღვდლის სამსონ ტომასიძისა ალექსანდრე ქორქიას სახელზედ და შეიტყობთ რა ნაირ უკიდურეს მდგომარეობაში არიან დატყვევებული ქართველთა მეომრები გერმანიაში. ეგ პატიოსანი და წამებულიც ამგვარ ტყვეობაში მამა ტომასია, ამბობს, რომ რიცხვი ქართველთა ტყვეთა შეადგენს ათი ათასს (10,000) კაცს და ევედრება ქართველობას მისცენ რაიმე შემწეობა ამ სიკვდილში მიწურილებს ქართველობას. ჩვენ აქ დროს ვატარებთ ქეიფში, ლხინში და არ ვფიქრობთ შევუმსუბუქოთ საზარელი მდგომარეობა ჩვენს ერთგულ და დატანჯულ ძმებსა.

ღმერთი როგორ არ განგვირისხდება, რომ დავივიწყეთ მისი მცნება და აგრე გულ-გრილად უცქერით ძმების ჯოჯოხეთურ ტანჯვასა. მშიერი, მწყურვალე, სნეული და მიახლოვებული სიკვდილსა საცოდავი ქართველი ტყვე კიდევ თავის თავს ნუგეშს აძლევს, ეგებ სამშობლოდგან რაიმე სანუგეშო ამბავი მომივიდესო, ეგებ ვინმეს ჩემებს გავახსენდეო, მაგრამ გადის სამი წელიწადი და არა რა სანუგეშო და სანატრელ ამბავს ვერ ვღებულობს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ არავინ ქართველი მეომარი ომის დროს უკან არ დიხევს და არ აჩვენებს მტერს თავის ზურგსა, მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ ჩვენშიდაც გაჩნდა დეზერტირები და არ მიდიან გამოსახსნელად იმ დატყვევებულ ძმებისა, რომელნიც ნატრობენ ერთი წამით თვალის გადავლებასა თავის საყვარელ სამშობლოზედ.

ბრძოლის ველზედ იღვრება ძმების სისხლი, აქ კი ჩვენი ჯარი იმნაირ სასირცხვო საქმეში გადვიდა, რომ მოდიან ქალაქებში და აღებ-მიცემის საქმეს ერთობიან. ნეტა ვინ იყო ის ულმრთო უფროსი, რომელიც ლაზისტანში საბრალო მცხოვრებლებს ართმევდა ფორთოხლებს და სალდათებს გზავნიდა ბათომში ამ ფორთოხლების გასაყიდათ?—

მეომარ მოღალატე ჯარებს ისე გაუტყდათ სახელი, რომ ზიზღით და წყევლით იხსენიებენ მათ. იქ ღალატობენ, აქ ეცემიან თავზედ მშრომელ და მშვიდობიან მოქალაქეებსა და სულს და გულს უწუხებენ. ბატონ სტოლიპინის აგარაკზე ავაზაკებმა და მძარცველებმა გაიტანეს 45 ათასის სხვა და სხვა ნივთები. მადლობა ღმერთისა და კიდევ მადლობა ღმერთს, რომ მკაცრის ზომების მიღებით აქაური პროკურორისა და მილიციების უფროსის კაპიტნის ძაპაევისაგან ყველა ეს აგარაკები დაიჭირეს და წაღებული ნივთებიც ნახეს. ჩვენი ახალთაობის მედროშეები დაბრძანდებიან ავტომობილებში და მილიციის უფროსს არ აძლევენ არც ცხენს და არც რაიმე ეტლს, რომ დაათვალიეროს ქალაქში და დაჩებზედ, სადაც ხდება მრავალი ბოროტმოქმედება. სამშობლო არის საშიშარ განსაცდელში და დღეს თუ ხვალ ველით მტრის თავზე დაცემასა. განა ღმერთოება არ არის ამგვარი მოქმედება და თავისუფლების ძირიანად აღმოფხვრა?

ამ ნაირი ბოროტმოქმედების მოსასპობად უნდა დაიძრას მთელი ხალხი და მოსპოს მშვიდობიანი ცხოვრების მტრები. ხალხს აქვს დიდი ღონე და ძალა და იმას ვერავინ წინ ვერ აღუდგება.

ნუ ვიზამთ, რომ ბოლოს ჩვენმა შთამომავლობამ მიგვცეს წყევლაზე, რომ ვერ დავიცვათ სისხლით მოპოვებული თავისუფლება. ვსთხოვოთ ღმერთს, რომ მოგვცეს ძალა გარეგან და შინაურ მტრის მოსპობისა და ახლად დანერგოს ჩვენს გულში ის სარწმუნოება, ის სიყვარული და ის ერთობა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჩვენნი წინაპრები.

კ. დ. მაჭავარიანი

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲓᲐᲜ

მეურნეობა და ხელთ-საქმე. მეურნეობით საქართველოს არცერთ კუთხეში ისე დაინტერესებულნი არ არიან, როგორც აჭარაში. საკმარისია აჭარელმა ყური მოჰკრას ამა და ამ ადგილას „ფიდანია" (ნამყენი-ნერგი), ან თესლს იძლევიან, ან მეფუტკრეა, ან მეაბრეშუმე და სხვა, ის მაშინვე 40—60 ვერსიდან ფეხით მოდის, გეჩიჩინება, გეხვეწება მეც მახვედრე, მეც რამე მასწავლე და მეც გამიკეთეო. ვინც აჭარლების მეურნეობისადმი სიყვარულის ამბავი იცის ის ადვილად დამეთანხმება, რომ აქ (აჭარაში) მეურნეობით ყველაზე ადრე შევიტანთ კულტურას, ერთ და იმავე დროს წერა-კითხვაც გავრცელდება და ოჯახიც ეკონომიურ-კულტურულად წინ წავა. ბათუმის საქველმოქმედო ქართულმა საზოგადოებამ ზემო-აჭარაში დანიშნა გამოცდილი მებაღე ნ. ხაფთასი, მას და აგრონომ თავ. ნაკაშიძეს, აჭარლები ბუზივით ეხვევიან—გვიშველეთ რამე, დაგვეხმარეთო. ორივეც მუყაითად ემსახურება ხალხს. ბ-ნმა ხაფთასმა გურიიდან წაიღო სანამყენე ტოტები და ბევრს უმყნო სხვა და სხვა უცხო ხილი. იგივე ცდილობს მომავალი წლიდან აჭარაში გაავრცელოს იაპონური თუთა (მუხლი), აკაცია, ბალახების თესვა და სხვა.

შინა-მრეწველობა—ხელთ საქმე აჭარაში დიდათ ქებული არ არის. ყველაზე მეტად არის გავრცელებული შალის ქსოვა, თითეულ აჭარელს თავის შარვლისათვის ცხრა არშინი შალი უნდება. მატყლს აჭარლები ახალციხეში ყიდულობენ, ძაფს კი შინაობაში ართავენ, თითის ტარზე (ჯარას არ ხმარობენ) და მშვენიერი გამოყავთ კიდეც. საქსოვი დგიმის ვ რცხელი ძველებური ყაიდის იციან, მაზედ მუშაობა მეტის-მეტი ძნელია, რის გამო ძლიერ ბევრი ქალი ადრე კუტდება. ასეთი ძნელი შრომაც ნაყოფიერი არ არის, რადგან ერთი ქალი დღეში ქსოვს ხუთ ვერშოკიანი სიგანის შალს მხოლოდ სამ არშინს.

ქართული საზოგადოების ბათომის განყოფილებამ საფეიქრო საქმის მცოდნეს მღ. სოლ. ანდღულაძეს მიანდო ამ ზაფხულში ხულოში მოეწყო საფეიქრო. მ. ანდღულაძემაც ეგ საქმე მშვენივრად მოაწყო: ოზურგეთიდან წაიღო საქსოვი დაზგა (საფეიქრო) ეგრეთ წოდებული მოსკოვის ყაიდისა (московскій самолетъ). ეს უბრალო, მაგრამ მოხერხებული საფეიქრო ამ სიძვირის დროს დაჯდა ას მანეთამდე, ცხადია ადგილობრივი (აჭარაში) გაკეთებული უიაფესად დაჯდება, ამისი უპირატესობა ის არის, რომ ის მუშას (მქსოველს) არ ღლავს, დღეში (რვა საათს) მოქსოვს ერთი არშინის სიგანის შალს ოც არშინამდე. მ. ანდღულაძემ თან წაიყვანა ფეიქარი ქალი ქ-ნი ნ. იაწკირველისა. საფეიქროს სანახავად მრავლად დიდან შორეული სოფლებიდან ქალები და კაცები. ქალები ძლიერ ადრე შეეჩვივნენ მაზედ მუშაობას და მაშინვე სურვილი გამოთქვეს შეძენის. ბევრი იხვეწება ჩვენს სოფელშიაც წამოიღეთ და იქაც ყველას ასწავლეთო. ეს უბრალო რამე, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებას უჯდება ძაფიანად არა უმეტეს რვაასი მანეთისა, მოქსოვილი კი დარჩება 50 არშ. შალი, რომელიც ეღირება არშინი არა ნაკლებ ხუთი მანეთისა. შალის ღებვა აჭარლებმა შინაურულად იციან მცენარეების მეოხებით. შალის მოსათელი (პრესი) შინაური აქვთ, მაგრამ დიდათ დასაწუნი არ არის.

საქველმოქმედო საზოგადოება დიდ კარგ საქმეს იზამს, თუ თავის სახელოსნოში (ხულოშია) საფეიქროს გააკეთებინებს და ხელმისაწვდენ ფასებში მსურველს მიაწოდებს. ერთი ინსტრუქტორი ქალი თითო კვირით თითო სოფელში რომ დარჩეს მეტი არ იქნება საჭირო.

აპ. წ—ძე.

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲓᲐᲜ

მკვლელობა სოფ. ბოდბისხევში.

ზოგიერთ კაცს ისე დაკარგული აქვს ადამიანური გრძნობა, სიყვარული, ისე რომ სწორეთ მხეცს ემგზავსება.—ასეთმა მრისხანე ხანამ უსულო საგანიც კი გამოაღვიძა, დააფიქრა ცხოვრებაზე, მაგრამ ამგვარ ვაჟბატონების ტვინს კი ძვრაც ვერ უყო—იგინი ცხოვრებიდან გარიყულნი დარჩნენ. არ აინტერესებთ მათ არც ერთი არც მეორე, მათი თვალი არ იყურება იქით, სადაც საჭიროა. მიჩერებია შინაურს—თავის მოძმეს და იქამდე ის ბედნიერებას ვერ იგრძნობს, ვიდრე ძმას თვალებს არ ამოსჩიჩქნის, ვიდრე მიწასთან არ გაასწორებს.—მათი სულის კვეთება-მისწრაფება—მხოლოდ ერთია: ანთხიოს მოძმეთა შორის შხამი, გესლი და სიძაგლე.—ოღონდ მან შეასრულოს თვისი წადილი, მის გარეშე თუნდაც ქვა-ქვაზედაც ნუღარ დარჩენილა... დღეს ამგვარი სახელი დაიმსახურა აქაურმა—ოსე მამუკელაშვილმა, რომელმაც მხეცურად მოჰკლა სრულიად უდანაშაულო თვისივე მეზობელი ჯეილი ვაჟ-კაცი ლადო ნადირაშვილი. საქმის ვითარება შემდეგნაირად ყოფილა: 17 აგვისტოს ლადო დაბრუნებულა სახლიდან თავის ბინაზე სადაც აკეთებდა თამბაქოს თავისი ამხანაგით ოსე მამუკელაშვილით—როდესაც ლადო შინ წამოვიდა—თურმე იმ ღამეს ბინიდგან მათთან მომუშავე ქალებს—ვიღაცამ მოჰპარა ტანისამოსი და როდესაც ეს შემთხვევა ლადომ გაიგო—თავის ამხანაგს უსაყვედურა და უთხრა, რომ იგი მოვალეა ბეჯითი თვალ-ყური ადევნოს იქაურობას, მით უმეტეს დაიცვას მუშების ხელშეუხებლობა, რათა უკანასკნელთ იძულებითი მუშაობას თავი არ დაანებონ და საქმე სრულებით არ დაიღუპოს—მეტი არაფერი უთქვამს, მხოლოდ ოსეს კი ეს წინადადება ძლიერ სწყენია- ფარულად თავის გულში.—როდესაც ლადოს და ყველა იქ მყოფ მუშებს დაუძინიათ. შუაღამისას ამდგარა და ხანჯლით ყელი გამოუჭრია ლადოსთვის. ჭრილობა უთვალავი აქვს და დაკუწული ტანი ადამიანს აღარ გავს.—იქ მყოფი მუშები ყველა შეშინებული გარეთ გამოქცეულან, რადგან ოსე მათაც სიკვდილით დამუქრებია.—როგორც გამოირკვა მკვლელობა მოხდა ყოვლად და ყოვლად უმიზეზოთ—აქ მხოლოდ ადგილი ჰქონია ოსესთვის—ადამიანის სიკვდილით ნავარდობას.

დამნაშავე შეიპყრეს, რომელსაც გამომძიებელს გადასცემენ. მთელი სოფელი ასეთმა არა ადამიანურმა საქციელმა მეტად აღელვა და ყველა ზიზღ იყო ლუკმა-მუკმად დაეგლიჯათ იგი, მაგრამ ხელში არ ჩაუვარდათ.

საჭიროა მეტი ყურადღება და მეტი სიფხიზლე რომ ამისთანა დიდებული დრო, როცა ახალი ცხოვრების ნიავი დაჰქრის და ბედნიერების შუქი შემოდის—ასეთი საზიზღარი ამბები არ ხდებოდეს. საჭიროა ხელი-ხელ ჩაკიდებული საერთო ბრძოლა ამ დამაბრკოლებელ პირობებთან.

გიორგი შიხაშვილი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ახალციხის გიმნაზიის გარშემო.

ახალ-ციხის გიმნაზიის საქმე თან და თან რთულდება. ეროვნული ბრძოლა გიმნაზიის გარშემო დღითი დღე უფრო მწვავდება. ქალაქის წარმომადგენლები მოითხოვენ ქართველ მასწავლებელთა განდევნას მიუხედავად მათი პედაგოგიური ნიჭისა, მხოლოდ იმიტომ რომ ისინი ქართველები არიან.

როდესაც ახალ-ციხის გიმნაზიიდან დაითხოვეს კორიცკი და მის მოადგილით არჩეულ იქმნა პედაგოგიურ საბჭოს მიერ ს. დანელია, კომისარმა კიტა აბაშიძემ დაამტკიცა ეს დადგენილება. ამან გამოიწვია უკმაყოფილება ქალაქის მცხოვრებთა ერთ ნაწილში. დამთავრდა თუ არა სწავლა და ბავშები საზაფხულოდ დათხოვნილ იქმნენ გიმნაზიიდან, მათ სცადეს იერიშის მიტანა ს. დანელიასა და პედაგოგიური საბჭოს უმრავლესობის წინააღმდეგ. შეიკრიბენ ჩუმად, ქართველ, ბერძენ, პოლონელ მშობელთა დაუსწრებლად და დაადგინეს დათხოვნილ იქმნენ დრ. დირექტორი გიმნაზიისა ს. დანელია, მასწავლებლები კ. ფილავანდიშვილი, კ. გვარამაძე, ნაზირ-ბეგ მურადოვი (ქართველი მაჰმადიანი), ლ. ვლეზკოვა, პ. იოანნიდი. იქვე განაცხადეს რომ კორიცკის სრულ ნდობას უცხადებენ. მეორე დღეს როცა გაიგეს სხვა მშობლებმა ასეთი დადგენილება, მოახდინეს კრება, გამოაცხადეს პროტესტი და მოითხოვეს ყველა ზემოხსენებულ პირთა დატოვება. ორივე დადგენილება გაეგზავნა კომისარს კ. აბაშიძეს, რომელმაც პირველი მათგანი იცნო უკანონოთ და უსამართლოდაც.

აქ საქმე ცოტათი მიყუჩდა, მაგრამ აგვისტოს კვლავ გამწვავდა. ქალაქის სტაროსტამ მოსესიანცმა, არჩეულმა ძველი რეჟიმის დროს (ახალი არჩევნები ჯერ კიდევ არ მომხდარა) შეადგინა კომისია, რომელშიაც შევიდა ხუთი წევრი ქალაქის ძველი თვითმართველობიდან, ხუთი—მშობელთა წრიდან და ხუთი მასწავლებლები, რომლებიც **დანიშნა თვითონ სტაროსტამ** (!). უკანასკნელთა შორის 2 სომეხია, 2 რუსი და ერთი ქართველი, რომელმაც საეჭვო როლი ითამაშა ამ საქმეში. კომისიაში 9 სომეხია და 2 ქართველი. ასეთი პროპორცია არ შეეფერება გიმნაზიის მოწაფეთა ეროვნულ დაყოფვას. 259 მოწაფიდან სომეხ-გრიგორიანები არის მხოლოდ 124, ქართველები კი დაახლოვებით ასამდე. ეს კომისია შეუდგა მასწავლებელთა გამორიცხვას, გამორიცხეს სწორედ უკვე დასახელებულნი მასწავლებლები: 4 ქართველი და ერთი რუსი, მიუხედავად მათი პედაგოგიური ნიჭისა. სომხებიდან არ დაუთხოვნიათ არც ერთი. პირიქით მათ უპირატესობაც მისცეს. ცხადია შოვინისტური ხასიათი კომისიისა, რომელსაც სურს ხელოვნურად შექმნას სომხური უმრავლესობა ახალ-ციხის გიმნაზიაში.

რა თქმა უნდა აღნიშნულ კომისიას არავითარი უფლება არ აქვს ასეთი დადგენილების გამოტანისა. ეს არის მხოლოდ შემთხვევით შეყრილი ადამიანთა ჯგუფი, მოკლებული ყოველგვარ კომპეტენციას. ამისათვის თავისი უპასუხისმგებლო დადგენილების სისრულეში მოყვანა მას არ შეუძლია. მაგრამ საინტერესოა ამ ისტორიაში, რაგვარი შოვინისტური მიდრეკილებით არის გამსჭვალული ახალ-ციხის მცხოვრებთა ერთი ნაწილი, ნუ თუ საქართველოში და გნებავთ რუსეთის რომელიმე კუთხეში ქართველს აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ იმიტომ რომ ის ქართველია?

მ. ნ.

—

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ამხანაგ მიხეილ მჭედლიძეს, რომელმაც კეთილ-ინება და ხუთი მან. შესწირა ღრელის სკოლის შენობის ასაგებათ. ღრელის სკოლის ფონდი არის ეხლა, 205 მანეთი. ვსთხოვ სხვებსაც დახმარებას.

შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, ნაბერეჟნის ქუჩა, № 4, ბინა მე5-ე.

ღრელის სოფ. რწმუნ. ი. ს. ნებაძე.

რედაქტორი **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲔᲨᲐᲞᲔᲚᲘ.**

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

26

ქართვ. წმ. მოწ. ადრიანე და ნატალიისი.

კათოლ. ქალწულისა ზეფირინასი.

სომეხ. წმ. თომა მოციქულისა.

მაჰმად. შამბე 21 რ. ზულყადისა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. შაბათ 21 რ. ელულ 5677 წ. ქვეყნ. შექმნ.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙ. ᲒᲖᲘᲡ

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადიან:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისაკენ	სამგზ.	№ 19,	8.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გურიისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.15	საღ.

ტფილისში მოდიან:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ბაქ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გურიიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოიდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ პოლიტიკურ და ლიტერატურულ ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილთაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვარკველია.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚ ᲪᲝᲓᲜᲐᲗᲐ

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

Ტ. Მ. ᲤᲘᲚᲝᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲥᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სეკტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—8

[illegible]

ძმ. [illegible]

პუშკინის ქუჩა, [illegible] სახ., № 3, ტელეფონი № 712.

[illegible] (წ.)

სტამბა „ცხოვრება" [illegible] შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"